პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 102 (9878) | პარასკევი, 30 აპრილი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აყვავებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

მომჭირნეობა მეურნეობის ხელმძღვანელობის კომუნისტური მეთოდია

საბჭოთა ადამიანები მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს — 1 მაისს ეგებებიან უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში.

მასების შრომითი გმირობის შესანიშნავი სურათები დაგვიხატეს სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის სხდომებზე სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას სიტყვებით გამოსულმა დეპუტატებმა. უდიდესი გაქანება მიიღო მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების საქმეში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლამ. ამას ნათლად მოწმობენ ჩვენი რესპუბლიკის მაგალითები. საქართველოში შეიქმნა მძიმე ინდუსტრიის ისეთი ახალი დარგები, როგორიც არის შავი მეტალურგია, საავტომობილო, ჩარხმშენებელი, ნავთობგადამამუშავებელი და სხვა დარგები. რეკონსტრუირებული და გაფართოებულია საქართველოს მარგანეცის მრეწველობა, აგებულია მთელი რიგი დიდი ჰიდროელექტროსადგურები და თბოელექტროსადგურები. მნიშვნელოვნად განვითარდა რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობა, რომელსაც საქართველოს სახალხო მეურნეობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს. საქართველოს კვების მრეწველობაში წამყვანი ადგილი უჭირავს ისეთი პროდუქციის გამოშვებას, როგორიც არის ჩაი, ღვინო, კონსერვები.

1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ, გათვალისწინებულია ჩვენი საბჭოთა სამშობლოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობის მიღწევა, კაპიტალდაბანდებათა ისეთი ოდენობით გადიდება, რომ საკმაოდ უზრუნველყოფილ იქნას მძიმე მრეწველობის შემდგომი წინსვლა, მსუბუქი და კვების მრეწველობის დიდად გაფართოება, მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ასამაღლებლად საჭირო დიდ ღონისძიებათა განხორციელება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში აღნიშნულია, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სახალხო მეურნეობის მთელი რეზერვების სრულად გამოყენება.

— მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობის, სახალხო მეურნეობის მთელი რეზერვების სრულად გამოყენებისათვის! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობისათვის ბრძოლას არა ეპიზოდურად, დროდადრო, არამედ სისტემატურად, ყოველდღიურად, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მუშაობის ყველა უბანზე.

პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა აღნიშნა, რომ როცა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა და ამასთან სისტემატურად მცირდება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები, მომჭირნეობის რეჟიმს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. რაც უფრო სრულად და რაციონალურად იქნება გამოყენებული საწარმოო რესურსები, რაც უფრო ყაირათიანად და თადარიგიანად გავუძღვებით მეურნეობას, მით უფრო მეტ წარმატებებს მოვიპოვებთ სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მით უფრო მეტ შედეგს მივაღწევთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

ბრძოლა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ხანმოკლე კამპანია რადია, იგი მეურნეობის გაძღოლის კომუნისტური მეთოდია.

1954 წლის განვლილ თვეებში ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა მუშაობის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ბევრგან, სადაც სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ხელმძღვანელობენ საწარმოებს, წარმოების მინაგანი რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში საგრძნობი მიღწევები აქვთ. ამის შედეგად მოწინავე საწარმოთა კოლექტივები ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ეწევიან ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიას, ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას, აუმჯობესებენ მის ხარისხს.

მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ ნაკეთობაზე ლითონის მომჭირნეობისათვის. სხვადასხვა რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად აქ ათასობით ტონა ძვირფასი ლითონი დაზოგეს. თბილისის დეპოს მეორთქლმავლეებმა შარშან 1.549 ტონა სათბობის ეკონომიის გაწევა შეძლეს და ამ დანაზოგით 1.000 რეისი გააკეთეს. თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დიდი რაოდენობით დაზოგა საპირე და საძირე ტყავი და მისგან გეგმის გადაძეტებით 2.500 წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა.

ასეთი მაგალითი მრავალია. მაგრამ არიან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებსაც ძოძკარხეობისათვის ბრძოლა თავის ძირითად ამოცანად არ მიაჩნიათ, ვერ იყენებენ ამ დარგში არსებულ ყველა შესაძლებლობას, ურიგდებიან დანაკარგებსა და უნაყოფო ხარჯებს.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მექანიკურ ქარხანაში 1952 წელს მიიღეს უმაღლესი სიხშირის დენის აპარატი. ამ დანადგარით უნდა ეწარმოებინათ ინსტრუმენტების ჩამოსხმა, რომელიც შემდგომ დამუშავებას არ საჭიროებს. ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ა. გორგასლიძე, მთავარი ინჟინერი ამხ. გ. სართანია) ეს ძვირფასი მოწყობილობა დროზე ვერ აითვისა, დღემდე გამოუშვა 9 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო მუშახელზე და მასალებზე გაწეულია 40 ათასი მანეთის ხარჯები.

1953 წელს საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკებმა დასაშვები ნორმის ზევით პროდუქციის წუნით სახელმწიფოს დააკლეს 49 ათასი მეტრი ქსოვილები, ძაფსაღებმა საწარმოებმა გადახარჯეს 10 ტონა აბრეშუმის პარკი, გაადიდეს არაწარმოო ხარჯები და ამით სახელმწიფოს მილიონობით მანეთი აზარალეს.

საწარმოს სწორი წარმართვა, მისი მუშაობის უნარიანად გაძღოლა საშეურნეო ხელმძღვანელისაგან მოითხოვს წარმოების ეკონომიკის საფუძვლიან ცოდნას და თადარიგიანობას.

პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხისათვის დასახული უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ამოცანების შესასრულებლად საჭიროა სამეურნეო მშენებლობის ყველა დიდ და მცირე უბანზე განუხრელად ვიბრძოლოთ მომჭირნეობისათვის, ვზარდოთ საწარმოთა რენტაბელობა, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, მტკიცედ განვახორციელოთ სამეურნეო ანგარიში.

მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების განაღდება სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული მუშაკებისაგან მოითხოვს სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის მასების შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას, შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი ზრდისათვის ბრძოლის გაძლიერებას, ნედლეულისა და მასალების ყაირათიანად ხარჯვას, მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

29 აპრილს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა გადასცა ლენინის ორდენი, ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ და სოციალისტური შრომის გმირის სიგელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც დაჯილდოებულია თვალსაჩინო დამსახურებისათვის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის წინაშე და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით, და წითელი ვარსკვლავის ორდენი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს — საბჭოთა კავშირის მარშალს ნ. ა. ბულგანინს საბჭოთა არმიაში ნამსახურობისათვის.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★ ★

ქვების ახალი სანარმოები დონბასში

სტალინო, 28 აპრილი. (საკდესი). აქ დამთავრდა ხორცკომბინატის პირველი რიგის მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა მაცივარი, რომელიც სამი ათას ტონაზე მეტ პროდუქციას იტევს. იგი აღჭურვილია რთული კომბრესორული მოწყობილობით.

კურახოვოს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დაბაში დაიწყო მუშაობა ახალმა პურის ქარხანამ. წარმოებს უკანასკნელი სამუშაოები პურის ქარხნის ამუშავების წინ მეშახტეთა დაბა შჩეგლოვკაში მაკეევკის მახლობლად.

მთავრდება არტემოვსკის სარძეო ქარხნის მოწყობა, რომელიც უკვე მაისში გამოუშვებს ათობით ტონა არაჟანს, ხაჭოს, კეფირსა და სხვა პროდუქციას.

გაზაფხულზე დაჭერილი თევზის კონსერვები

იუჟნო-სახალინსკი, 28 აპრილი. (საკდესი). სახალინის ნავსადგურებიდ მისადგომებს მოადგა რამდენიმე მძლავრი რეფრიჟერატორული გემი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიიტანენ 50 ათასამდე ცენტნერ სახალინის გაზაფხულის პირველი თევზჭერის ნაკლებდამარილებულ ქაშაყს.

თითქმის მთელი პროდუქცია მაღალი ხარისხისაა. ეს არის დამუშავების ახალი ტექნოლოგიის — მექანიზებული დამარილების ფართოდ დანერგვის შედეგი, რომლის დროსაც მნიშვნელოვნად მცირდება თევზის დამუშავების ვადები, უმჯობესდება მისი ხარისხი. თევზდამმუშავებელი საწარმოები ასეთ ქაშაყს ერთიორად მეტს გამოუშვებენ, ვიდრე შარშან.

საკონსერვო ქარხნებმა ახალი თევზჭერის თევზის მილიონამდე ქილა კონსერვი გამოუშვეს.

უკრაინული სპექტაკლების დეკადა ესტონეთში

ტალინი, 28 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ დაიწყო უკრაინული სპექტაკლების დეკადა, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი. დეკადაში მონაწილეობას იღებს ტალინისა და პერიფერიების შვიდი დრამატული თეატრი. დეკადა გაიხსნა ტალინის ვ. კინგისეპის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ა. კორნეიჩუკის პიესით „ესკადრის დაღუპვა“. ამ თეატრის რეპერტუარშია ვ. მინკოს კომედია „გვარს ნუ დავასახელებთ“, რომელსაც უჩვენებენ აგრეთვე ესტონეთის სსრ სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი და ტარტუს თეატრი „ვანემუინე“. პიარნუს ლ. კოდულას სახელობის დრამატული თეატრის, ვილიანდის თეატრ „უგალას“, რაკვერეს და კოხტლა-იარვეს თეატრების კოლექტივები ტალინის მშრომელებს უჩვენებენ ი. ფრანკოს პიესის „მოპარული ბედნიერების“, ი. გალანის „სიყვარული განთიადზე“ და სხვ. დადგმებს.

1 მაისის აღსანიშნავად

მთელი სამთამადნო ციკლის მიხედვით

კრივოი როგი. 28 აპრილს ფრუნზეს სახელობის მაღაროს მაღაროელებმა დაიწყეს დნეპროსპირეთის მეტალურგებისათვის აპრილის დავალების გადამეტებით მადნის გაგზავნა. ვადამდე შესრულებულია ოთხი თვის პროგრამა მთელი სამთამადნო ციკლის მიხედვით. მოწინავე კოლექტივმა 4,2 პროცენტით გაადიდა მადნის ამოღება გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით.

ახზე მეტი დამხმარე მუშა განთავისუფლდა სხვა უბნებისათვის მოწინავე მუშების მიერ მბურღავის, გვირაბის გამყვანის, მებიგის, სამთო მექანიზმების მძღოლის პროფესიების შეთავსების მეთოდებით.

წლის დამდეგიდან ფრუნზეს სახელობის მაღაროს კოლექტივმა 4,7 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

ყოველ წუთში—მზა ველოსიპედი

ლვოვი. ველოსიპედის ქარხანამ ორი დღით ადრე შეასრულა ოთხი თვის გეგმა. ველოსიპედების წარმოება წლის დამდეგიდან 20 პროცენტით გადიდდა.

საწარმო აღიჭურვება ახალი მოწყობილობით. რეგოლვერული ჩარხები შეცვლილია ავტომატებით. ამის მეთოხებით იმ უბნებზე, სადაც წინათ ექვსი მუშა მუშაობდა, ახლა შრომობს ერთი ამწყობი, ხოლო ნაწარმის გამოშვება ერთისამად გადიდდა. ამწყობ საამქროში დამთავრდა კონვეიერის მონტაჟი, რომელიც მაისში ამუშავდება. ყოველ 60-90 წამში კონვეიერიდან ჩამოვა მზა ველოსიპედი. (საკდესი).

ლითონმსხმელების მიღწევა

თბილისი. ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნის კოლექტივმა თავისი საპირველმაისო მზადება და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის პირველი პერიოდი აღნიშნა ახალი, მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებით: საყალიბო საამქროში გამართეს მცირე სამანქანო დეტალთა სამსხმელო კონვეიერი, რომელიც ახლა გამართულად და კარგად მუშაობს.

ამ კონვეიერის ამუშავებით 60 პროცენტით ამაღლდა მეყალიბეთა შრომის ნაყოფიერება, გათავისუფლდა 400 კვადრატული მეტრი საყალიბეების ფართობი, შესაბამისად გაუმჯობესდა სხმული დეტალების ხარისხი. კონვეიერის ამუშავებამდე ჩამოსხმული დეტალის ხარისხის გამორკვევა შესაძლებელი იყო 7-8 საათის განმავლობაში, როცა ამ დეტალს საყალიბე მიწისაგან გაწმენდდნენ, ახლა კი ხარისხის გამორკვევა შესაძლებელია სხმულის დაყალიბებიდან 10-15 წუთის შემდეგ.

სტალინირიდან მოდიან ენთუზიასტები

სტალინირი. (საკ. კორ.). სტალინირის ახალგაზრდობაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა თბილისელ კომკავშირელთა ინიციატივამ საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე წასვლის შესახებ. მარტო ამ ბოლო დღეებში კომკავშირის საქალაქო კომიტეტში ათობით კომკავშირელმა შეიტანა განცხადება რესპუბლიკის დიდ მშენებლობებზე წასვლის შესახებ.

საპირველმაისო დღესასწაულისათვის მშენებლობებზე გასამგზავრებლად უკვე მზად არის 30 ენთუზიასტი კომკავშირელი მშენებელი.

საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროში

საკავშირო აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ გადაწყვეტილება მიიღეს მოეწყოს საბჭოთა მეურნეობების მემინდვრეობის ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობის წინაშე კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს.

შეჯიბრებას საფუძვლად უნდა დაედოს მემინდვრეობის ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადების მიერ ყველა კულტურის მოსავლიანობის დაწესებული გეგმის შესრულება, მინდვრის სამუშაოთა დროზე და ხარისხიანად დამთავრება, ტექნიკის დიდი წარმადობით გამოყენება, აქტიური მონაწილეობა საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის შემდგომ აღმავლობაში.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან მემინდვრეობის ის ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადები, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა საერთო შეჯიბრებაში. დაწესებულია სამი პირველი, ხუთი მეორე და შვიდი მესამე ადგილი.

ბრიგადებს, რომლებიც პირველ ადგილებს დაიკავებენ, გადაეცემათ საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები, ძვირფასი საჩუქრები. ბრიგადის წევრები შეტანილ იქნებიან საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში, დაჯილდოდებიან ნიშნით „სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანი“ და ფულადი პრემიით.

ბრიგადებს, რომლებიც მეორე ადგილებს დაიკავებენ, გადაეცემათ საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გარდამავალი წითელი ალმები და ძვირფასი საჩუქრები. ბრიგადების წევრები დაჯილდოდებიან საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საპატიო სიგელებით და ფულადი პრემიით.

ბრიგადებს, რომლებიც მესამე ადგილებს დაიკავებენ, გადაეცემათ საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გარდამავალი წითელი ალმები და ძვირფასი საჩუქრები. ბრიგადების წევრები დაჯილდოდებიან საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საპატიო სიგელებით და ფულადი პრემიით.

მემინდვრეობის ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებს საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტი სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან ერთად წელიწადში ორჯერ — 1 ივლისს (წინასწარ), როცა შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ჩაირიცხებიან პირველობის მოპოვების კანდიდატებად, და 1 დეკემბერს — სოციალისტური შეჯიბრების საბოლოო შედეგები.





ხარკოვის ტრაქტორების ასაწყობი ქარხნის კოლექტივი მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს —1 მაისს ღირსეულად ხვდება. პირველი კვარტალის გეგმა ქარხანამ ვადაზე ადრე შეასრულა. ოთხი წლის განმავლობაში ტრაქტორების გამოშვება საწარმოო ფართობების გაუდიდებლად ოთხჯერ გაზარდა. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას ასობით ტრაქტორი და 500 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები. **სურათებზე: 1. ხარკოვი.** ხტზ-7 ტრაქტორების მორიგი პარტია გაგზავნის წინ. **2. კისლოვოდსკი.** სტალინის სახელობის პროსპექტი. **3. უკრაინის სსრ.** ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხანა. კოლექტივმა იკისრა სოციალისტური ვალდებულება — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად გამოუშვას ხტზ-12 ელექტროტრაქტორების საცდელი პარტია. ხტზ-12 ელექტროტრაქტორები გაგზავნის წინ.

ფოტო მ. ნაჩინკინისა და ბ. მიახნიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის სახელმწიფო რეზერვი

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატები

დნეპროპეტროვსკის მოწინავე რაიონი

კიშინიოვი, 28 აპრილი. (საკდესი). მოლდავეთში მიმდინარეობს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატების შერჩევა. პირველ კანდიდატთა შორის არის სლობოძეის რაიონი, რომელიც განთქმულია თავისი ბაღებით. აქ ხეხილის ნარგავებს ოთხი ათასზე მეტი ჰექტარი უჭირავს. ყოველწლიურად საკონსერვო ქარხნებს აქედან ეგზავნება 150 ათას ცენტნერამდე ვაშლი, მსხალი, ჭერამი, ქლიავი. საკოლმეურნეო ბაღების პროდუქციის გადასამუშავებლად სოფელ გლინოოში აშენებულია მოლდავეთის ერთ-ერთი უდიდესი საკონსერვო ქარხანა.

სლობოძეის რაიონის ხეხილის ნარგავთა მთელი ფართობის თითქმის მეოთხედი ეკუთვნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, რომლის ბაღები გადაჭიმულია დნესტრის ნაპირის გაყოლებით 12 კილომეტრზე. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კოლმეურნეობის შემოსავალმა მებაღეობიდან 20 მილიონ მანეთს მიაღწია.

სლობოძეის მებაღეები მეცნიერთა დახმარებით მუშაობენ ხეხილის მეწლეობის ლიკვიდაციის პრობლემაზე. ბევრ სასოფლო-სამეურნეო არტელში შექმნილია კიშინიოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოლდავეთის ფილიალის საყრდენი პუნქტები. ცალკეული ჯიშის ვაშლისა და ქლიავის დიდ მასივებზე კოლმეურნეობები უკვე მეოთხე წელია იღებენ უხვ მოსავალს. ბაღებში მთლიანად მექანიზებულია მწკრივთაშორისების ნიადაგის დამუშავების პროცესები, ხეების შესხურება და სასუქის შეტანა. ფართოდ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ავიაციას. ხილის საერთო მოსავლის გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვია მორწყვა. სლობოძეის რაიონის ტერიტორიაზე არის 400-კილომეტრიანი საირიგაციო ქსელი.

რამონის სელექციონერები

ვორონეჟი, 28 აპრილი. (საკდესი). ვორონეჟიდან 30 კილომეტრზე გადაჭიმულია რამონის სახელმწიფო სასელექციო სადგურის მინდვრები. აქ შრომობენ და მუშაობენ საბჭოთა კავშირში ცნობილი მეცნიერი-სელექციონერები სტალინური პრემიის ლაურეატები ა. ლ. მაზლუმოვი და ნ. ა. საეჩენკო. ისინი ქმნიან შაქრის ჭარხლის ახალ ჯიშებს. ამა წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირში დაითესება 500 ათას ჰექტარზე მეტი რამონის ჯიშის შაქრის ჭარხალი.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის მაზლუმოვის ხელმძღვანელობით მისი მუშაობის 30 წლის მანძილზე სადგურმა შექმნა 42 ახალი ჯიშის შაქრის ჭარხალი. სადგურის მეცნიერთა და მთელი კოლექტივის სიამაყეა ახალი ჯიშები „რ-036“, „რ-041“, „რ-632“, ეს ჯიშები ყველა დარაიონებულ ჯიშებზე უფრო პროდუქტიულია. მიღწეული წარმატებებისათვის სადგური შერჩეულია 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად.

გამოფენაზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი შაქრის ჭარხლის სელექციისა და მოვლა-მოყვანის მეთოდები. უკანასკნელი 13 წლის მანძილზე შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავალი სადგურის მინდვრებში 323 ცენტნერს შეადგენს თვითეულ ჰექტარზე, ამასთან შაქრიანობა 18,3 პროცენტს უდრის. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მოსავალი 431 ცენტნერამდე გაიზარდა თვითეულ ჰექტარზე.

სადგურის მეცნიერებმა ცენტრალური შავნიადაგიანი ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის შეიმუშავეს შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის პროგრესული მეთოდები.

წერილი რედაქციისადმი

გულითად მადლობას ვუძღვნი ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებასა და პირს მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის ჩემი სამოცი წლისთავთან დაკავშირებით.

ნ. ხრუშჩოვი.

საგაზაფხულო თესვის მოკლე ვადებში ჩაჯარება უხვი მოსავლის საწინდარი

„კომუნისტისა“ და რაიონული გაზეთების რედაქციების მასალები

ხელიდან უშვებენ ხვნა-თესვის საუკეთესო ვადებს

ალვანის მანქანა-ტრაქტორთა სადგური შარაგზიდან ხუთას მეტრზეა. მიუხედავად ამისა მტს-ამდე მისვლა მაინც ძნელია და დიდ დროს მოითხოვს. მტს-ის მშენებლობისათვის განკუთვნილი ხე-ტყით, აგურით, ქვითა და კირით დატვირთული ავტომანქანები ტალახში ეფლობიან.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მიმსვლელი პირველ რიგში სახელოსნოს იკითხავს. ჩვენც გვინდოდა გვენახა იგი, მაგრამ ნამდვილი სახელოსნო ვერ აღმოვაჩინეთ. მტს-ის დირექციას კახოიძის ეზოში სახელდახელო სამჭედლო ქურა გაუმართავს, ერთი სახარატო დაზგა დაუდგამს და გაუკეთებია წარწერა: „სახელოსნო“. იგი ვერ ასრულებს დანიშნულებას. თუ რაიმე მნიშვნელოვანი დეტალის გაკეთება დასჭირდათ, თელავში ან ნაფარეულში მიდიან; კვალიფიციური სპეციალისტი არა ჰყავთ. მტს-ს საკუთარი ელექტროკოსიკიც არ გააჩნია.

მტს-ის დირექტორმა ამხ. გ. მამუკიშვილმა თვენახევრის წინათ აცნობა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს — „ტრაქტორების რემონტი დაძთავრებულია“. კარგია, როცა საინფორმაციო ამბავს ზემდგომ ორგანოს აცნობებ. მაგრამ ეს ცნობა მოჩვენებითი აღმოჩნდა. ორი ტრაქტორი ახლაც მტს-ის ეზოში დგას უძრავად. ამ ტრაქტორების ხმაური წელს არავის არ გაუგონია.

ქვემო ალვანიდან მაღრაანისაკენ მიმავალი შარაგზის მარჯვნივ მესამე სატრაქტორო ბრიგადის სამი ტრაქტორი დგას. მექანიზატორები მათ თავს დასტრიალებენ, მაგრამ ვერაფერს შველიან. „დტ-54“ მარკის ტრაქტორს რემონტის დროს უვარგისი ძრავი ჩაუდგეს. იკოდნენ, რომ არ იმუშავებდა, მაგრამ მოვალეობის მოხდის მიზნით ტრაქტორი მინდვრად გაიყვანეს, მან ნახევარი კილომეტრი გაიარა და დადუმდა. „სტზ ნატის“ ტრაქტორს მუხლალილვი არა აქვს. ამ ტრაქტორით წელს ერთი ჰექტარიც არ მოუხნავთ. რემონტიდან გამოშვების აქტში კი მაღალი შეფასება უწერია. „კდ-35“ ტრაქტორის ძრავს ახლა არემონტებენ.

მესამე სატრაქტორო ბრიგადა არც კადრებით იყო სწორად დაკომპლექტებული. შალვა ბლიაძე ცუდად უძღვებოდა ბრიგადას. ტრაქტორისტებიც არ იყვნენ შრომას მოწყურებულნი. მტს-ის დირექცია მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ამ ბრიგადის მექანიზატორები ნდობას ვერ გაამართლებდნენ. ბრიგადა მეორედ დააკომპლექტეს.

გასული წლის ოქტომბერში ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ზოოტექნიკოსად „მუდმივ სამუშაოდ“ (ასე წერია ბრძანებაში) გაგზავნეს დავით ყიზილაშვილი. იგი ცუდად არ მუშაობს. ამავე თანამდებობაზე მარტში გეჯგზავნეს ლოთობისათვის მოხსნილი მტს-ის უფროსი ზოოტექნიკოსი ა. ციხელაშვილი. ახლა ერთ ადგილზე ორი კაცი იმყოფება.

ალვანის მტს-ის ზონის მთელი რიგი კოლმეურნეობები წარმატებით აწარმოებენ საგაზაფხულო ხვნა-თესვას. ამ მხრივ აღსანიშნავია ხორხელის კოლმეურნეობა. მისი თავმჯდომარე დ. მინდორაშვილი ყველა პირობას უქმნის სატრაქტორო ბრიგადას სამუშაოების სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ი. ჭიჭიაშვილი მტკიცედ რაზმავს მექანიზატორებს დავალების სასახელოდ შესასრულებლად.

მაგრამ ყველგან მონდომებით და საქმის ცოდნით როდი მუშაობენ. ფიჩხოვანის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ვ. ბაგაური) 188 ჰექტარიდან დღემდე 60 ჰექტარზე მეტი არ მოუხნავს. აქ სიმინდი დათესეს მხოლოდ 10 ჰექტარი, საკვები ჭარხალი 12 ჰექტარის ნაცვლად 2 ჰექტარი.

მექანიზატორებს მუდმივი დახმარება და ხელშეწყობა სჭირდებათ. ეს კოლმეურნეობების საპატიო მოვალეობაა. ალვანის მტს-ის ზონაში მექანიზატორებისათვის მინდვრად ბინების აგებაზე დღემდე არავის უფიქრია. აღმრიცხველმა კუკუნაშვილმა ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თ. მოურავიძეს სთხოვა საწვავის მიტანაში დახმარებოდა. „წადი და თქვენი ტრანსპორტით მიიტანეთო“, — ასეთი პასუხი მიიღო მან. ამ კოლმეურნეობაში იმის გამო, რომ თესლი დროზე არ მიიტანეს, სათესი მანქანა ორ საათს დაკდა. მოურავიძე არც დამხმარე მუშახელით უწყობს ხელს სატრაქტორო ბრიგადას.

აქ ჩვენ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ უსაქმურ მიმოწერაზე.

ამ დღეებში მტს-მა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიიღო დეპეშა: „ოცი აპრილის მდგომარეობით გვიდეპეშეთ ვაზის მყნობის გეგმის შესრულება“. მტს-ის დირექციამ იმავე წუთში გაგზავნა საპასუხო დეპეშა: „მტს-ის ზონის კოლმეურნეობებს ვაზის მყნობის გეგმა არა აქვთ და არც მყნობა ჩაუტარებიათ“.

საკვირველია, ნუთუ სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ იციან, რომ ალვანის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებს ვაზის მყნობის გეგმა არა აქვთ?!

გაზეთ „კომუნისტისა“ და ახმეტის რაიონული გაზეთის „გამარჯვების“ ბრიგადა: ნ. უთურაშვილი, ს. ძოწაძე, ა. ბაკურაძე, ს. ქინქლაძე.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დღიური

ნაკისრ ვალდებულებებს ანაღდებენ

მარნეული. („კომუნისტის“ კორ.). მექანიზატორები თავდადებით შრომობენ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. გუშინ მარნეულის მტს-ის მექანიზატორებმა ერთხელ კიდევ მოსინჯეს არსებული შესაძლებლობანი და მტკიცედ გადაწყვიტეს სიმინდის თესვა 1.220 ჰექტარზე პირველი მაისისათვის დაამთავრონ.

ამ მტს-ის ზონაში 27 აპრილისათვის დათესილი იყო 950 ჰექტარამდე სიმინდი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 360 ჰექტარი. ტრაქტორისტი ნ. ალაბეგრდიევი „დტ-54“ მარკის ტრაქტორზე მუშაობს. იგი დამით ამზადებს ნიადაგს დღისით თესვისათვის. მან 26 აპრილს ღამით აოშა 30 ჰექტარი ნაცვლად 28 ჰექტარისა.

ტრაქტორისტმა კ. ჩავდაროვმა დღემდე კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 100 ჰექტარი სიმინდი და მთლიანად გაანადგა ნაკისრი ვალდებულება. მოწინავე მექანიზატორი გ. ხარჩილაძე ღამით ნიადაგის აოშვაზე და კულტივაციაზე მუშაობს, დღისით კი სიმინდს თესავს კვადრატულ-ბუდობრივად.

მარნეულის მტს-მა გუშინ გადაჭარბებით შეასრულა მრავალწლიანი ბალახების თესვის დავალება. დათესილია 200 ჰექტარი ნაცვლად 170-სა. საკვები ჭარხალი დათესეს 67 ჰექტარზე, გეგმა კი 62 ჰექტარს ითვალისწინებდა.

მოწინავე მექანიზატორები

სტალინირი. (სკ. კორ.). გუშინდელი დღე მაღალნაყოფიერად გამოიყენეს სტალინირის მტს-ის მექანიზატორებმა განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტრაქტორისტები ს. წარიტოვი და ვ. მაისურაძე.

ს. წარიტოვი დღისით და ღამით არ აჩერებს ტრაქტორს. სოფელ თამარაშენის კოლმეურნეობას გუშინ 10 ჰექტარი მოუხნა. სულ მოხნული აქვს 120 ჰექტარი. 27 აპრილს ვ. მაისურაძემ „დტ-54“ მარკის ტრაქტორით სოფელ ძარწემის კოლმეურნეობაში მოხნა 10 ჰექტარი ნაცვლად 6 ჰექტარისა.

ამ დღეს წარმატებით იმუშავა ლენინგორის მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც გ. ხუბულოვი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ 240 ჰექტარიდან უკვე მოხნა 215 ჰექტარი. ტრაქტორისტი ვ. ბესტაევი ყოველდღიურად ხნავს 8-10 ჰექტარს.

მეტი სიმინდი, ბოსტნეული

მცხეთა. („კომუნისტის“ კორ.). მშრომელთა სოლიდარობის დღის — პირველი მაისის წარმატებით შესახვედრად ამ დღეებში მცხეთელმა კოლმეურნეებმა გააძლიერეს საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპი. სოფელ ქსოვრისის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში პირველად გაანახორციელეს 4 ჰექტარი ვენახის გადაყვანა მავთულზე. ეს დღე ქსოვრისელებმა კიდევ იმით აღნიშნეს, რომ ვენახში მინერალური სასუქი გაიტანეს 10 ჰექტარზე, კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს 10 ჰექტარი სიმინდი, სასილოსე კულტურები დათესეს 15 ჰექტარზე.

სოფელ მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მწკრივად დათესეს 20 ჰექტარი სიმინდი, 8 ჰექტარი ლობიო; ამ სამუშაოებში თავი ისახელეს ბრიგადირებმა შ. დოლიშვილმა და ვ. ორკოდაშვილმა. გაცხოველებული მუშაობა იყო გუშინ მუხრანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 12 ჰექტარი სიმინდი, მწკრივად — 3 ჰექტარი, კიტრი გადარგეს 2 ჰექტარზე, კომბოსტო — 0,5 ჰექტარზე, პამიდორი — ნახევარ ჰექტარზე.

წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახეები ენერგიულად იბრძვიან მომდინარე წელს ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებისათვის. **სურათზე:** (მარცხნიდან-მარჯვნივ): სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატები კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. გონაშვილი და მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ამხ. გ. ალადაშვილი ამოწმებენ ვაზის კვირტის გამოსვლას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ვიყოთ შეურიგებელნი ნაკლოვანებებისადმი

მოწინავე კოლმეურნეები და მექანიზატორები უნარიანად იყენებენ მატერიალურ-ტექნიკურ და შრომითს რესურსებს, გაძლიერებული ტემპით ხნავენ და თესავენ. 25 აპრილისათვის ზუგდიდის რაიონში საგაზაფხულო ხვნის დავალება შესრულებული იყო. მთლიანად დაამთავრეს ჩაის პლანტაციების გადაბარვა, გასხვლა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ რუხის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. რობავა), რომელმაც რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრა საგაზაფხულო ხვნა. რუხელმა კოლმეურნეებმა უკვე აითვისეს 130 ჰექტარი ყამირი. ახლად ათვისებულ ფართობში ისინი პირველად მიიღებენ სიმინდისა და ბოსტნეულის მოსავალს. კიდევ 20 ჰექტარ ყამირს აითვისებენ. მეათე ბრიგადის (ხელმძღვანელი შ. მალანია) 72 წევრი გათენებიდან დაღამებამდე საკოლმეურნეო მინდვრებში შრომობს. კოლმეურნეები პ. ჯანაშია, კ. ფირცხალავა, ა. ფიფია, ა. ნანავა, ე. ჯანაშია თესვის ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად ანაღდებენ.

საკოლმეურნეო მინდვრებში დღედაღამ არ წყდება ამ სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორების გუგუნი, რომელსაც ბიქტორ ბაკლავა ხელმძღვანელობს. ბაკლავას ოჯახიდან სამია მექანიზატორი. ბიქტორის შვილი დავითი საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ პროფესიას და ტრაქტორის საჭეს მართავს. მან გეგმის გადაჭარბებით მოხნა 30 ჰექტარი და ვალდებულება იკისრა სეზონში რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნას 3 ათასი ჰექტარი, მაშინ როცა გეგმა 2.500 ითვალისწინებს. ასევე სამაგალითოა მეორე შვილის გიორგის მუშაობა. ეს სამივე ტრაქტორისტი ხელსაყრელი ამინდის დროს ღამითაც მუშაობენ, ხნავენ და თესავენ. იციან, რომ ახლა თვითეული საათი ძვირფასია. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ ტრაქტორისტები მ. მორგოშია, ო. ქუჩულორია, ლ. ფარცვანია.

მაგრამ არიან ისეთი მექანიზატორებიც, რომლებიც სრული დატვირთვით არ იყენებენ ტრაქტორებს, ცუდად უვლიან მანქანებს და ამის გამო ხშირად უქმად დგანან. უწინარეს ყოვლისა ეს ითქმის ტრაქტორისტ ო. ჩიქავაზე, რომელიც სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობაში მუშაობს. თვენახევარში მან მხოლოდ 25 ჰექტარი მოხნა. სოფელ დარჩელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტი უ. სიჭინავა სამუშაოთა ყოველდღიურ ნორმას სანახევრადაც ვერ ასრულებს.

რაიონში თესვის ტემპი ძლიერ ჩამორჩება. წელს უნდა დათესონ 7.500 ჰექტარი სიმინდი. ეს სამუშაო შესრულებულია მხოლოდ 200 ჰექტარზე. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ბევრგან კოლმეურნეობებში მობილიზებული არ არის მთელი ძალები. ვხედებით საგაზაფხულო სამუშაოებისადმი აშკარა უდარდელ დამოკიდებულებას.

სოფელ ცაიშის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ე. კობახია) 195 სული მუშა-პირუტყვი ჰყავთ, მაგრამ რატომღაც მინდვრის სამუშაოებზე არ იყენებენ. 35 დღეში მუშა-პირუტყვით მოხნული აქვთ მხოლოდ 15 ჰექტარი. ჩვენ ვნახეთ, რომ მერვე ბრიგადის (ხელმძღვანელი ა. ცხადაია) მუშა-პირუტყვს ს. ცხადაია თავის საკარმიდამო ნაკვეთზე ამუშავებდა ორი დღის განმავლობაში. კოლმეურნეობაში სიმინდის თესვას აჭიანურებენ, მოუწყობელია შრომა.

— ამინდმა შეგვიშალა ხელი, ალბათ გამოიდარებს და მაინც მოვასწრებთ, — გულდამშვიდებით აცხადებენ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭეჟია, აგრონომი ბ. კანდელაკი. ცუდად მიმდინარეობს ის სამუშაოებიც, რაც ცუდ ამინდშიც შეიძლებოდა შესრულებულიყო. მაგალითად, თესლის შეძენა. კოლმეურნეობაში ჩაის თესვას თესლის უქონლობის გამო ჯერ არ შესდგომიან. თესლს ახლა, ამ გაცხარებული მუშაობის დღეებში დაეძებენ.

სოფელ ურთას XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას აგრონომი ა. შონია ხელმძღვანელობს. შედარებით აქ უკეთესი მდგომარეობაა. მოწინავე ბრიგადირები გ. კოდუა, ღ. ქირია და ა. აკობია მთლიანად იყენებენ კოლმეურნეობაში არსებულ შესაძლებლობებს და ამიტომაც წარმატებები აქვთ. მათ ვადამდე დაამთავრეს ხვნა. ახლა სწრაფად თესავენ სიმინდს, მინდვრად გაჰქვთ ნაკელი. მაგრამ მათს გამოცდილებას კოლმეურნეობაში რიგი იყენებენ. მეექვსე ბრიგადაში კოლმეურნეე ვ. ლოგუა საგაზაფხულო სამუშაოებში აგროტექნიკას უხეშად არღვევს, ხნავს 8-10 სანტიმეტრის სიღრმეზე, ნაცვლად 18-20 სანტიმეტრისა. ასეთი ფაქტები გამონაკლისი როდია.

ზუგდიდელები კვადრატულ-ბუდობრივად პირველად დათესავენ 2 ათას ჰექტარ სიმინდს, აქედან მტს-ი—ათას ჰექტარს. მართალია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიიღეს 8 ცალი სათესი მანქანა, მაგრამ აქედან სამი უქმად დგას, რადგან არა აქვთ სათანადო მოწყობილობანი.

ნაკლოვანებებთან შემარიგებლობით და საქმისადმი უდარდელობით უნდა აიხსნას ისიც, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში უგულებელყვეს ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება. მიუხედავად იმისა, რომ აგროტექნიკური ვადები ამოიწურა, სამუშაოები ჩამორჩენილია. 198 ჰექტარიდან დათესილი აქვთ მხოლოდ 34 ჰექტარი. ეს გამოწვეულია იმით, რომ დროზე არ იზრუნეს თესლის მომარაგებისათვის. სოფელ რიყის შვერნაკის სახელობის, ზედა ეწერის ცხაკაიას სახელობის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობებს არც ერთი კილოგრამი ჩაის თესლი არა აქვს.

სოფელ ახალ კახათის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში მინდვრის სამუშაოებში იერიშობანას მიმართავენ. მეექვსე ბრიგადის (ხელმძღვანელი დ. შელია) წევრები მ. თოდუა, ღ. მიქავა, მ. ოკუჯავა ჩაის თესავენ აგროწესების უხეში დარღვევით. ზოგან მწკრივთა შორის მანძილი 180 სანტიმეტრია, ზოგან კი 130 სანტიმეტრი. სინამდვილეში უნდა იყოს 170 სანტიმეტრი. კოლმეურნეობის აგრონომი ვ. ხუბუტია კი აგროწესების დარღვევის ფაქტებს რატომღაც ურიგდება.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის მზადებაშიც ვერ არის ყველაფერი რიგზე. მაგალითად, სოფელ ახალ კახათის კოლმეურნეობაში ფარდულები შეუკეთებელია. შესაძენია აგრეთვე წვრილმანი ინვენტარი. მეექვსე და მეშვიდე ბრიგადების ჩაის პლანტაციების მისასვლელი გზები დაზიანებულია. ასევე ითქმის ჭითაწყაროს კოლმეურნეობაზე, აქ არა აქვთ ფოთლის გადასაზიდი გოდრები, ყუთები. აკლიათ ხელის სასწორები და ფოთლის კრეფისათვის საჭირო სხვა წვრილმანი ინვენტარი.

თუ ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ არ გამოსწორდა, რაიონში თესვის სამუშაოები ჩაშლის საფრთხეშია.

გაზეთ „კომუნისტისა“ და ზუგდიდის რაიონული გაზეთის „მებრძოლის“ ბრიგადა: შ. ჭოჭუა, ბ. ნოდია, ბ. ქოგალია, დ. ფაჩუკა.

ჩაის ფოთოლი შემოდის უხვად, მოკრიფე, დრო არ დაკარგო უქმად!

გავითვალისწინოთ მიმდინარე გაზაფხულის თავისებურებანი

შესაძლებლობა და სინამდვილე

შენ, კოლმეურნეო, იშრომე კარგად, გამრჯე ვაქცაცის სახელი გძვია, და რასაც ახლა არ გააკეთებ, ის შემდეგ უკვე იქნება გვიან.

გაზაფხულის ერთ ისეთ დღეს, როდესაც ჩვეულებრივ ამბობენ, წელიწადს კვებავსო, ბარალეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ვესტუმრეთ. კოლმეურნეობის კანტორა ხალხით იყო სავსე. შეკრებილთ, რომელთა შორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. მამულიანიც იყო, მასლაათი გაებათ. საუბარი ალბათ ეხებოდა ყველაფერს, გარდა საგაზაფხულო სამუშაოებისა, რადგან მისი ტონი დინჯი, აუღელვებელი იყო.

მაგრამ აქვთ თუ არა ბარალეთელებს თვითდამშვიდებისა და აუღელვებლობის უფლება? ცხადია, არა. ისინი ყოველმხრივ მომზადებული როდი შეხვედრიან საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაწყებას. კოლმეურნეობას, რომელმაც ვერ შეასრულა მზრალად ხვნის გეგმა, საგაზაფხულოდ კიდევ მოსახნავი აქვს 100 ჰექტარი, ხოლო გადასახნავი — ორი ამდენი ფართობი. არ ჰყოფნით ზოგიერთი კულტურის თესლი, ჩამორჩენაა მინდვრად ნაკელის გატანაში. გაჩიცდიან სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნაკლებობას, მუშა-პირუტყვი დასუსტებულია.

ბარალეთის კოლმეურნეობა ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ჩანდურის ტერიტორიის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც წლიდან წლამდე ვერ ასრულებენ ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების მოსავლიანობის გეგმებს, აკლიათ ამ კულტურათა 56 ცენტნერი თესლი. საწყობის შესასვლელთანვე ყრია 3-4 ტონა ფიგის თესლი, რომელიც უკონდიციოა. ნელი ტემპით მიმდინარეობს მინდვრად ნაკელის გატანა. არ წარმოებს შერჩევითი ხვნა და თესვა.

ვაჩიანის მტს-ის გვერდით მდებარეობს ამ სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელშაც საგაზაფხულოდ დიდი ფართობი — 1.300 ჰექტარი უნდა დათესოს. მარტო კოლმეურნეობის ძალებით უნდა მოიხნას 250 ჰექტარი. ეს სერიოზული ამოცანაა და მისი დროულად შესრულება გაძნელდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აქ ჯერაც არ დაუწყიათ ხვნა, აკლიათ გუთნები, მუშა-პირუტყვი დასუსტებულია. კოლმეურნეობას აქამდე არ მოუმარაგებია 180 ცენტნერამდე მრავალწლიანი ბალახების თესლი.

რა მდგომარეობაა საერთოდ ახალქალაქის რაიონში?

მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები კარგა ხანია შეუდგნენ თესვას, 20 აპრილისათვის მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების თესლის გამოყოფის დავალება მხოლოდ 96,2 პროცენტით იყო შესრულებული. კოლმეურნეობებს აკლიათ 500 ცენტნერზე მეტი კარტოფილის თესლი. ცუდი მდგომარეობაა მრავალწლიანი ბალახების თესლის გამოყოფის მხრივ, რაც მხოლოდ 58,1 პროცენტით არის შესრულებული. მთლიანად არ არის განაღდებული ბოსტნეულ კულტურათა თესლის გამოყოფის დავალება. საკმარისია აღინიშნოს, რომ რაიონს 14 კოლმეურნეობას არ შეუსრულებია მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების თესლის გამოყოფის დავალება, კარტოფილის თესლი აკლია ხუთ კოლმეურნეობას, ხოლო ბალახების თესლი — რიცხვით ამაზე სამჯერ მეტს.

რაიონში დამთავრებული არ ჰქონდათ სათესლე ფონდების კონდიციამდე აყვანა. ეს მაშინ, როცა ბევრგან ზამთრის პერიოდში მარცვალსაწმენდი მანქანები მთელი კვირაობითა და თვეობით იდგა.

ჩამორჩება მინდვრად სასუქების გატანა. 20 აპრილისათვის გეგმით გათვალისწინებული 120 ათასი ტონის ნაცვლად გატანილი იყო 43 ათასი ტონა ადგილობრივი სასუქი. ამასთან ცხრა კოლმეურნეობას არც კი ჰქონდა დაწყებული ეს სამუშაო, მაშინ როცა კოლმეურნეობათა განკარგულებაშია დიდძალი გამწევი ძალა და სატრანსპორტო საშუალებანი.

ჩამორჩენილი უბანია მზრალად ხნულის კულტივაცია, მაშინ როცა ამ სამუშაოს მოცულობა წელს გაზრდილია. მტს-ებს საჭირო რაოდენობით არა აქვთ კულტივატორები, კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან გუთნებით, განსაკუთრებით კი № 4 და № 5 გუთნებით, რაც რაიონში წლების მანძილზე არ შეუზიდავთ. ცეკავშირი ამ მხრივ ნაკლებ ყურადღებას აქცევს მთიანი რაიონების, კერძოდ, ახალქალაქის რაიონის მომსახურებას.

ბევრგან აბიბინდა შემოდგომის პურეულის ჯეჯილი, შეიძლება მისი შერჩევითი გამოკვება, მაგრამ ეს სამუშაოც მივიწყებულია.

თავმინებებული მტს-ები

რაიონში სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგურია. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი მუშაობის პირობებში ამ მტს-ების მექანიზატორებს შეეძლოთ უდიდესი დახმარება გაეწიათ კოლმეურნეობებისათვის. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. ისინი წლობით ჩამორჩებიან მოსავლიანობის გეგმების შესრულებაში.

მეტად სუსტია მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვაჩიანის მტს-ს ჯერ კიდევ არც ერთი ტიპური შენობა არა აქვს. შარშან აქ დაიწყეს ნავთობის ბაზის მშენებლობა, რაც იმავე წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დღემდე მშენებლობის 50 პროცენტიც არ არის შესრულებული. პრიმიტიულ სახელოსნოში არ მოიძებნება ჰიდრავლიკური წნეხი, სალესი დაზგა, არა აქვთ მუდმივი ელექტროენერგია. მტს-ი განიცდის ავტოცისტერნების, სატვირთო მანქანების, გუთნების, კულტივატორების, ზოგიერთი მარკის ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას.

იგრძნობა სპეციალისტ მექანიზატორთა კადრების მწვავე ნაკლებობა — აკლიათ 5-6 მუშაკი. ამასთან მარტო ერთი მექანიზატორი ჰყავთ სპეციალური უმაღლესი განათლებით.

ვაჩიანის მტს-ი 1936 წელს ჩამოყალიბდა. განა გასული 18 წელი საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ მთიანი ზონის ამ მტს-ს ასეთი სიძნელეები არ ჰქონოდა მუშაობაში? ცხადია, შეიძლებოდა, მაგრამ შესაძლებლობა ერთია და სინამდვილე მეორე.

ის, რაც ვაჩიანის მტს-ზე ითქვა, შეიძლება უკლებლივ გავავრცელოთ ბარალეთის მტს-ზე. უფრო მეტიც, ეს უკანასკნელი სრულიად თავმინებებულ მდგომარეობაშია. მტს-ის კანტორა კერძო მობინადრის სახლშია მოთავსებული. ინვენტარის უქონლობის გამო საწერ მაგიდას ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი კაცი უზის. იარაღ-მანქანების რემონტი ზამთარში ცის ქვეშ — 20-25 გრადუსი ყინვის დროს მიმდინარეობდა.

მტს-მა, რომელმაც ვერ გაანაღდა მზრალად ხვნის დავალება, ამ გაზაფხულზე უნდა დათესოს 5.000 ჰექტარი, მაგრამ თესვა არ დაუწყიათ. თესვისწინა კულტივაცია შესასრულებელია 2.000 ჰექტარზე, რისთვისაც ათი კულტივატორი მაინც დასჭირდებათ, მაგრამ მხოლოდ სამი ასეთი მანქანა აქვთ. არ არის საოშები, თეფშებიანი ფარცხები.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ინახება აღნიშნული მტს-ების ბევრი განაცხადი, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ქაღალდზეა და არ განხორციელებულა. სამაგიეროდ, ქაღალდების ნაკადი დაუსრულებლად მოედინება ცენტრიდან მტს-ებისაკენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მტს-ები მოკლებული არიან რაიონის ხელმძღვანელთა კონკრეტულ დახმარებას. მექანიზატორთა ჩამორჩენას ისინი „ობიექტური“ მიზეზებით ხსნიან.

ასე არ განხორციელდება პროგრესული ღონისძიებანი

რაიონში წელს პირველად განახორციელებენ მასობრივად სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივ თესვასა და რგვას, აგრეთვე. ბოსტნეულის ჩითილების გამოყვანას ნაკელ-ნეშომპალის ქოთნებში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო კარტოფილი ამ წესით 1.800 ჰექტარზე დაირგვება, ხოლო ბოსტნეული 50 ჰექტარზე დაითესება. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ მტს-ები უზრუნველყოფილი არ არიან კარტოფილის სარგავი ოთხმწკრივიანი მანქანებით, თუმცა განაწილებით კი ისინი მიაკუთვნეს მათ. არა ჩანს მანქანები კვადრატულად ხელით რგვის შემდეგ ნათესების დამუშავებისათვისაც. მთელ რიგ კოლმეურნეობებში არათუ არ იციან კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანების მომსახურების წესი, რაც კოლმეურნეებისათვის არავის უსწავლებია, არამედ ისიც კი არ იციან თუ ამ მიზნით რამდენი კაცი უნდა გამოჰყონ. ნელი ტემპით მიმდინარეობს ნაკელ-ნეშომპალის ქოთნების დამზადება.

ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს სამუშაოები მთლიანად ვერ განხორციელდება, თუ ახლავე არ იქნა მიღებული ენერგიული ზომები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ავამაღლოთ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებიდან რაიონის პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა ერთგვარი დასკვნები გამოიტანეს. არის მუშაობის ახლებურად გარდაქმნის, საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებთან ხელმძღვანელობის მიახლოების ცდები. მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს გარდაქმნა ჯერჯერობით ნელა მიმდინარეობს. ბევრ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია შრომის დისციპლინა. საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყების მიუხედავად, დამთავრებული არ არის მტს-ებსა და კოლმეურნეობათა შორის ხელშეკრულებათა გაფორმება, ჩამორჩება აგრეთვე საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენა.

ეს ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ დაბალია მასებთან პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე. ბევრ კოლმეურნეობაში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგიტატორები, მოისუსტებს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა. არის ისეთი სოფლები, სადაც მთელი თვეობით არ უჩვენებენ კინოსურათებს, მცირე რაოდენობით ეწყობა მოსახლეობისათვის ლექციები, მოხსენებები სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე და პოლიტიკურ თემებზე. ბევრგან შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოდის კედლის გაზეთები, მოწყობილი არ არის საგაზეთო ვიტრინები, მაჩვენებელთა და საპატიო დაფები, ვერ ნახავთ ლოზუნგებს, პლაკატებს და თვალსაჩინო აგიტაციის სხვა საშუალებებს.

ნაკლოვანებებია პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფებისა და მტს-თა ზონების მიხედვით რაიკომის მდივნების მუშაობაში.

დაგვიანებული გაზაფხული პარტიის რაიკომისა (მდივანი ამხ. ა. ბლრციანი) და რაისაბჭოს აღმასკომისაგან (თავმჯდომარე ამხ. ა. ზარიძე), მტს-ებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს მჩქეფარე ორგანიზატორული მუშაობის გაჩაღებას, განსაკუთრებულ მოქნილობას, მანევრირებას, სამუშაოთა წარმოებისადმი კონკრეტულ და ცოცხალ ხელმძღვანელობას.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება ახალქალაქის მთიანმა რაიონმა, რომელიც სისტემატურად ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლებაში, მოიყვანოს წელს უხვი დოვლათი, მიაღწიოს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ ზრდას.

გაზეთ „კომუნისტისა“ და ახალქალაქის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის დროშით“ ბრიგადა: გ. ზუკაკიშვილი, ნ. ალექსიშვილი, ს. კოლოსიანი, ვ. ნახაპეტიანი.

აგიტაცია გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის

სოფელ ბებნისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის წევრებმა, დაინახეს თუ არა აგიტატორი მარიამ კიკნაძე გაზეთით ხელში, ერთხმად წამოიძახეს:

— მოამბე მოდის!

ამ დღეს აგიტატორს მათთვის უნდა გაეცნო დადგენილება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტისა. მ. კიკნაძემ თავისი საუბარი ასე დაიწყო:

— წელს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიხსნება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. დიდია საბჭოთა ქვეყნის წარმატებანი, დიდია მისი შემოქმედებითი ძალები. ამ წარმატებათა, ამ ძალების მარტო გაცნობა ახალ ენერგიას მატებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებს. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ახალ, უფრო ძლიერ ბიძგს მისცემს სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები. მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის ბრძოლა, რომელიც უფლებას მისცემენ სოფლის მეურნეობის მოწინავეებს მონაწილეობა მიიღონ გამოფენაში, უნდა გახდეს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალი ათასი მშრომელის საყოველთაო საქმედ.

ბებნისის კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის დარგებიდან უმთავრესად განვითარებულია ხორბლის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ხილის და ბოსტნეული კულტურების მოყვანა. შარშან კოლმეურნეობამ სხვა კულტურებთან შედარებით ყველაზე უფრო გაზარდა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა. პირველი ბრიგადის მერგოლურმა მარიამ გელაშვილმა სამი ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღო 513 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 210 ცენტნერისა. მაგრამ მერგოლური გამოფენის კანდიდატი რომ გახდეს, ამისათვის საჭიროა სამი ჰექტარი სარწყავი ფართობიდან თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 550 ცენტნერი ჭარხალი. ამიტომ აქედანვე უნდა გავაჩაღოთ ბრძოლა წელს ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის, რათა უთუოდ მოვიპოვოთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება 1955 წლისათვის.

აგიტატორს კოლმეურნეებმა ბევრი საინტერესო შეკითხვა მისცეს, რომლებზეც მან ამომწურავი პასუხი გასცა.

კოლმეურნეობის აგიტატორები კოლმეურნეებს ფართოდ აცნობენ გამოფენაში მონაწილეობის პირობებს. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილების გაცნობას ხუთი საუბარი მიუძღვნა აგიტატორმა ვალენტინა ჭუბაბრიამ. ერთ-ერთ საუბარში მან მეგაღე კოლმეურნეთა ყურადღება გაამახვილა ხილის უხვი მოსავლის მიღებაზე.

— როგორც იცით, — თქვა მან, — ჩვენს კოლმეურნეობაში ხეხილის ბაღი 57 ჰექტარზეა გაშენებული, მაგრამ არც ერთ წელიწადს არ შეგვისრულებია ხილის მოსავლის გეგმა. ამის მიზეზი ის არის, რომ დღემდე სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით ხეხილის ბაღების დამუშავებას, აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას. თუ ჩვენს მეზობელ გორის რაიონში არიან ისეთი მეხილე სტახანოველები, რომლებმაც ჰექტარზე 400 ცენტნერამდე გაზარდეს ხილის მოსავლიანობა, ცხადია ჩვენც შეგვიძლია ხილის ასეთი უხვი მოსავლის მიღება.

საუბარმა ღრმად ჩააფიქრა კოლმეურნეები. ახლა ისინი უკეთ უვლიან ხეხილის ბაღებს.

კომკავშირელი აგიტატორი მაყვალა ხორბალაძე მეორე ბრიგადაში მუშაობს, მაგრამ მისი საუბრები მარტო ამ ბრიგადით როდი განისაზღვრება. ის არ უცდის ხოლმე დიდი აუდიტორიის შეკრებას. წვიმიან დღეებში ხშირად ნახავთ კოლმეურნეობის კანტორაში ან სახლებში სასაუბროდ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილ კოლმეურნეებს. იგი მოხერხებულად იყენებს ამ შემთხვევას. აგიტატორი კარგად იცნობს ბრიგადის საწარმოო დავალებებს, სისტემატურად კითხულობს ლიტერატურას სოფლის მეურნეობის საკითხებზე, ეცნობა უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილებას. ბებნისის კოლმეურნეობის წევრმა ს. ცეცხლაძემ გასულ წელს ერთ ჰექტარ ფართობზე 518 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა. აგიტატორმა ჯერ კარგად შეისწავლა ცეცხლაძის გამოცდილება და შემდეგ ბრიგადაში მოაწყო საუბარი მისი გამოცდილების შესახებ. ამ დღეებში აგიტატორი საუბრებს უფრო ხშირად მინდვრად აწყობს, იქ, სადაც კოლმეურნეები არიან.

როცა კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში რაიმე სამუშაო ჩამორჩება, ეს შეუმჩნეველი როდი რჩება აგიტატორ ეუფუნა სავანაძეს. ამ ბრიგადამ კოლმეურნეობაში ყველაზე ადრე ჩაატარა შაქრის ჭარხლისა და საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვა, ჯერილების გამოკვება, გაცხოველებით მიმდინარეობს სიმინდისა და კარტოფილის თესვა.

ამ დღეებში ბებნისის კოლმეურნეობას პარტიის ქარელის რაიკომის პროპაგანდისტი ი. ვალიშვილი ეწვია. იგი დაწვრილებით გაეცნო, თუ როგორ ემზადება კოლმეურნეობა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის. საღამოს კი ჩატარა აგიტატორთა სემინარი თემაზე: „ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის“.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია (მდივანი დ. არდემანაშვილი) სწორად წარმართავს აგიტაციას, პერიოდულად ისმენს პარტიულ კრებებზე პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, საქმიან დახმარებას უწევს აგიტატორებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში.

ბებნისელი კოლმეურნეები წელს ყველა კულტურის უხვ მოსავალს უყრიან საფუძველს. ამ დიდ საქმეში მათ გვერდში უდგანან სოფლის აგიტატორები.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

წიგნი უკრაინაზე



მრავალი წელია უკრაინისა და საქართველოს მეშახტეები, მეტალურგები და კოლმეურნეები ერთმანეთს ზრომოთს და შემოქმედებითს გამოცდილებას უზიარებენ. ეს მეგობრობა დიდ გამოხმაურებას პოულობს უკრაინელი და ქართველი მწერლების შემოქმედებაში.

ქართულ საბჭოთა მწერლობაში დიდი ხანია დამკვიდრდა უკრაინელი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის თემა. ჩვენი პოეტები და პროზაიკოსები დიდი სიყვარულით უმღერიან უკრაინელ ხალხს. ქართველი მწერლების საყვარელი თემები გახდნენ: სამამულო ომის დღეები უკრაინაში, უკრაინის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მათი მოწინავე ადამიანები, მირგოროდი და გურამიშვილის საფლავი, ლესია უკრაინკა და მისი ძეგლი სურამში, ქართველი და უკრაინელი კოლმეურნეების, მეტალურგებისა და მეშახტეების შეხვედრები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ახლახან გამოსცა კრებული „საბჭოთა უკრაინას — ქართველი მწერლები“, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ისტორიული დღესასწაულის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი.

კრებულში წარმოდგენილია ქართველი მწერლების ნაწარმოებები, მიძღვნილი უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობისადმი.

კრებული, რომლის რედაქტორები ი. აბაშიძე, კ. კალაძე, ს. ჩიქოვანი და ს. ჭილაია, გამოცემულია საუცხოოდ, ჩასმულია ყდაში და შეიცავს 606 გვერდს.

კრებულის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ლ. გრიგოლიას.

სურათზე: კრებულის „საბჭოთა უკრაინას — ქართველი მწერლები“ გარეკანი.

ს. ჩიქოვანის ახალი ლექსები რუსულ ენაზე

მომდინარე წელს რუსულმა ჟურნალებმა „დრუჟბა ნაროდოვ“, „ოქტიაბრმა“, „ზნამიამ“, „ოგონიოკმა“, „სოვეტსკი ვოინმა“ ვრცელი ადგილი დაუთმეს სტალინური პრემიის ლაურეატის პოეტ სიმონ ჩიქოვანის ახალ ლექსებს, მიძღვნილს დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა ცხოვრებისადმი.

ალმანახის „დრუჟბა ნაროდოვ“ პირველ ნომერში დაბეჭდილია ს. ჩიქოვანის შემდეგი ლექსები „პუშკინი და მიცკევიჩი“, „კარნავალი ვენეციაში“, „ვრცელაში საბჭოთა ოფიცრების სასაფლაოზე“, „ახალგაზრდობის ფესტივალი ბერლინში“, „ურალელი კუნავინი პოლონეთში“, „ფიქრი მომკელზე“, „მეგობრებს“, „მშვიდობის ესტაფეტა“, „ბრაგოვში“, „წერილი ტატრიდან“, „წიგნზე მინაწერი“.

ჟურნალი „ოქტიაბრი“ № 4-ში ბეჭდავს ს. ჩიქოვანის ლექსებს „მოსავლის დღესასწაული კრაკოვში“, „გოეთეს სოფლისათვის“, „ზღვის თვალი“, „შოპენის სოფლისაკენ“, „მეორე წერილი ტატრიდან“. ჟურნალი „ზნამია“ თავის მეოთხე ნომერს ხსნის ს. ჩიქოვანის ლირიკული პოემით „მეგობრობის გზა“. „სოვეტსკი ვოინის“ მესამე ნომერსა და „ოგონიოკის“ მეთერთმეტე ნომერში გამოქვეყნებულია ლექსები „საბჭოთა მეომარი ბერლინში“ და „სევანის ტბაზე“.

ლექსების თარგმანები შესრულებულია ცნობილი რუსი პოეტების ნ. ტიხონოვის, ა. მეჟეროვის, პ. ანტოკოლსკის, ნ. ზაბოლოცკის და სხვათა მიერ.

ჯოუ ენ-ლაის განცხადება

საგარეო საქმეთა მინისტრეგის ჟენევის ფორუმზე 1954 წლის 28 აპრილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო თავმჯდომარე, ბატონო მინისტრებო, ბატონო დელეგატებო!

ჟენევის თათბირი, რომელსაც ასე მოელოდნენ მთელი მსოფლიოს ხალხები, გაიხსნა. ამ თათბირის მიზანი უნდა იყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება. ეს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანაა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოს, საფრანგეთის რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა დაინტერესებული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები პირველად შეიკრიბნენ ერთად, მიუსხდნენ ერთ მაგიდას იმისათვის, რომ ერთობლივად განიხილონ და გადაწყვიტონ აზიის აქტუალური საკითხები. ჩვენი ამოცანა რთულია, მაგრამ ამ თათბირის მოწვევა თავისთავად ნიშნავს იმას, რომ გადიდდა შესაძლებლობა მოლაპარაკების გზით მშვიდობიანად გადაჭრათ საერთაშორისო სადავო საკითხები. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია იმედს გამოთქვამს, რომ ამ თათბირის მონაწილე ყველა წარმომადგენელი ჯეროვნად ეცდება შეასრულოს ეს ამოცანა.

აზიის ხალხებს, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ხალხებს, უყვართ მშვიდობა და თავისუფლება. აზიის ხალხები დიდხანს იყვნენ დაჩაგრულნი და დამონებულნი. მათი ბრძოლა უცხოეთის იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის სამართლიანი ბრძოლაა. ვერავითარი ძალა ვერ შეუშლის ჩელს ამ ისტორიულ განვითარებას. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების გავლენიანი წრეები აზიის ხალხთა კოლონიური დამონების ზიზნით აძლიერებენ თავიანთ ჩარევას, რათა დაამტკიცონ აზიის ხალხთა სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გეგმავენ აგრესიული ბლოკის შექმნას აზიაში, აფართოებენ ომს აზიაში. ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი პოლიტიკა ეწინააღმდეგება აზიის ხალხთა ფისწრაფებებს. იგი დაძაბულობისა და შეშფოთების წყაროა აზიაში.

ჩინელმა ხალხმა ხანგრძლივი და მტკიცე ბრძოლის მსვლელობაში ბოლო მოუღო იმპერიალიზმისა და გომინდანის ბატონობას, რომელიც დამღუპველი იყო ხალხისათვის, საკუთარი ნებით აირჩია სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო წყობილება და შექმნა თავისი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა გამოხატავს მთელი ჩინელი ხალხის ნებას. პოლიტიკას, რომელსაც იგი ახორციელებს, ერთსულოვნად უჭერს მხარს მთელი ჩინეთი.

5 წელიწადზე ნაკლები ხნის განმავლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჩინეთის ისტორიაში უმაგალითო უდიდეს წარმატებებს მიაღწია პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის დარგში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ გააერთიანა ჩინეთი, განახორციელა სოციალური გარდაქმნები, ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის სტაბილიზაცია, აღადგინა ხანგრძლივი ომით დანგრეული ეროვნული ეკონომიკა, თანდათან აუმჯობესებს ხალხის ცხოვრების მატერიალურ პირობებს და ამაღლებს მის კულტურულ დონეს. ამჟამად ჩინეთში ხორციელდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გრანდიოზული გეგმა და საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით მიმდინარეობს ხელისუფლების ყველა საფეხურის ორგანოების საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები.

ჩინეთის ისტორიაში პირველად ხალხი გახდა თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი, ყველა ეროვნება თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების საფუძველზე მჭიდროდ გაერთიანდა ერთ დიდ ოჯახად. მთავრობა, რომელიც ჩინეთის ყველა ხალხის მხურვალე სიყვარულით სარგებლობს, ისე მტკიცე გზდა, როგორც არასოდეს. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს დააბრკოლოს ჩინელი ხალხის წინსვლა ძლიერებისა და აყვავების გზით. ჩინელი ხალხის გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა მდგომარეობა აზიაში. იგი აზიის ხალხებს აღაფრთოვანებს თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტური ჩაგვრისაგან საბოლოო განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და ჩინელი ხალხი თანმიმდევრულად იბრძვიან მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ. ჩვენ არასოდეს არ მოგვიხდენია და არ მოვახდენთ აგრესიას სხვა ქვეყნების მიმართ, მაგრამ არ დავუშვებთ აგრესიულ მოქმედებას ჩვენს წინააღმდეგ, ვის მხრივაც უნდა იყოს ეს. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა ქვეყნის ხალხთა უფლებას აირჩიონ და დაიცვან ცხოვრების საკუთარი წესი და სახელმწიფო წყობილება გარედან ჩაურევლად. ამასთან ჩვენ მოვითხოვთ ჩვენდამი ასეთსავე დამოკიდებულებას სხვა ქვეყნების მხრივ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ, თუ მსოფლიოს ყველა ქვეყანა დაიცავს ამ პრინციპებს და განმამტკიცებს სურვილით ითანამშრომლონ ერთმანეთთან, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა უზრუნველყოფილი იქნება, და ამისათვის ყველა შესაძლებლობა არსებობს.

ყველამ იცის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ პირველმა დაამყარა მეგობრული დიპლომატიური ურთიერთობა ახალ ჩინეთთან. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის დიდი მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის დაცვის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიდ ხალხებს შორის ძველთაგანვე არსებობდა ტრადიციული დიდი მეგობრობა. ჩინელმა ხალხმა თავისი ეროვნული განთავისუფლების სახელოვან საქმეში თავიდანვე ჰპოვა საბჭოთა ხალხის მხურვალე თანაგრძნობა. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე დამყარდა და წარმატებით ვითარდება ეკონომიური თანამშრომლობა და კულტურული კავშირი ჩინეთსა და სსრ კავშირს შორის თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპის საფუძველზე. ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობამ, რომელიც დღითიდღე მტკიცდება, უკვე შეასრულა და კვლავ ასრულებს უდიდეს როლს არა მარტო შორეული აღმოსავლეთის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მისი დაარსების დღიდან ცხო 20-ზე მეტმა სახელმწიფომ, რომელთა მოსახლეობა 1 მილიარდ კაცს აღემატება. მაგრამ ზოგიერთი სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები, ჯერ კიდევ უარს ამბობს ცნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ცდილობს არ გაუწოოს ანგარიში ჩინელი ხალხის უფლებას — აირჩიოს თავისი სახელმწიფო წყობილება. ამ სახელმწიფოებს არა სურთ შეურიგდნენ ჩინეთში დამარცხებას და განზრახული აქვთ თავს მოახვიონ ჩინელ ხალხს ძალაუფლება გომინდანელთა [illegible] ნაბოლარეთის, რომლებიც უკვე დიდი ხანია განდევნა 500-მილიონიანმა ჩინელმა ხალხმა. დღემდე, სხვადასხვა საერთაშორისო თათბირზე ისინი კიდევ ცდილობენ გომინდანელთა ხროვის აგენტები გაასაღონ ჩინელი ხალხის წარმომადგენლებად. უკანონოდ უწევენ დისკრიმინაციას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობასა და უფლებებს. ჩინეთის მშვიდრბიან განვითარებასა და უშიშროებას მუდამ საფრთხე მოელის. ასეთი მდგომარეობის დიდი უკანონობა და უსამართლობა ცხადია. ასეთი მდგომარეობის არსებობა და მისი განგრძობა ხელს უშლის საჭირბოროტო საერთაშორისო საკითხების და განსაკუთრებით აზიის აქტუალური პრობლემების მშვიდობიან მოწესრიგებას, აძლიერებს შეშფოთებას და დაძაბულობას საერთაშორისო ურთიერთობაში. ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა აღარ უნდა გაგრძელდეს. ამ თათბირმა დასაბამი უნდა მისცეს ამ მდგომარეობის შეცვლას.

ბატონო თავმჯდომარე, ბატონებო! ამჟამად, თუმცა სამარი მოქმედება კორეაში შეწყვეტილია, მაგრამ მშვიდობა ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა, კორეის გაერთიანება ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, გადაჭრილი არ არის აგრეთვე კორეის საკითხთან დაკავშირებული სხვა პრობლემები. ომი ინდოჩინეთში ჯერ კიდევ გრძელდება. ასეთი მდგომარეობა დიდი შეშფოთების გრძნობას იწვევს მთელი მსოფლიოს ხალხებში, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ამ თათბირის მეოხებით შეიცვლება ეს მდგომარეობა, კორეის საკითხი მშვიდობიანად გადაიჭრება და ინდოჩინეთში აღდგენილ იქნება მშვიდობა.

ეს თათბირი უკვე შეუდგა კორეის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საკითხის განხილვას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ პრობლემის მოწესრიგებას შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისა და კორეელი ხალხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

კორეა ჩინეთის ახლო მეზობელია. ჩინეთისაგან მას ჰყოფს მხოლოდ მდინარე. კორეას ძველთაგანვე უაღრესად ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჩინეთთან და იზიარებდა მთელ მის სიხარულსა და მწუხარებას. ამიტომ ჩინელ ხალხს არ შეეძლო არ გამოეჩინა ზრუნვა კორეის მშვიდობისა და უშიშროებისათვის. 1950 წლის ივნისში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს ინტერვენცია, რომელიც კორეის ომად გადაიქცა. ამავე დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიკავეს ჩინეთის ტერიტორია — კუნძული ტაივანი — და ამის შემდეგ განუწყვეტლივ ბომბავდნენ ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთს, ცეცხლს უშენდნენ ჩინეთის სავაჭრო გემებს, იერეკებდნენ ჩინეთის საჰაერო სივრცესა და ტერიტორიულ წყლებში.

უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, მიუხედავად ჩინელი ხალხისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის გაფრთხილებისა, თავის ჯარებს უბრძანა გადაელახათ 38-ე პარალელი; ეს ჯარები მიუახლოვდნენ ჩრდილოეთ მდინარეებს იალუძიანსა და ტუმინძიანს, და ამით სერიოზულად შეუქმნეს საფრთხე ჩინეთის უშიშროებას. სავსებით ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გაჰყვნენ იაპონელი მილიტარისტების კვალს, რომლებმაც კორეა დაიკავეს, რათა შეექმნათ ბაზა კონტინენტურ ჩინეთში შეჭრის მიზნით. ჩინელი ხალხი, რომელიც ეყრდნობოდა ამ მწარე ისტორიულ გამოცდილებას და თავის სასიცოცხლო ინტერესებს, იძულებული გახდა დახმარების ხელი გაეწოდებინა კორეელი ხალხისათვის, მასთან ერთად ებრძოლნა აგრესიის წინააღმდეგ და დაეცვა თავისი სამშობლოს უშიშროება. ჩინელი ხალხი ეგრ დაუშვებდა ისეთ მდგომარეობას, როცა კორეა კვლავ უნდა ყოფილიყო გამოყენებული როგორც პლაცდარმი ჩინეთის წინააღმდეგ აგრესიისათვის.

იმ დროს, როცა კორეის სახალხო არმიამ და ჩინელმა სახალხო მოხალისეებმა ინტერვენტთა ჯარები უკუაგდეს და მიუახლოვდნენ 38-ე პარალელს, კორეელი და ჩინელი ხალხები, რომლებიც ეყრდნობოდნენ კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის უცვლელ პოზიციას, დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ სსრ კავშირის წინადადებას, რომელიც 1951 წლის 23 ივნისს წამოყენებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და რომელიც მოითხოვდა დაწყებულიყო მოლაპარაკება კორეაში სამარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ეგრეთწოდებული სამხედრო ტყვეების საკითხის საბაბით აჭიანურებდა დაწყებულ მოლაპარაკებას, რის გამო კორეაში დაზავების საკითხზე მოლაპარაკებაში დიდხანს მიღწეული არ ყოფილა შეთანხმება. მაგრამ კორეა-ჩინეთის მხარე დიდ ღონისძიებებს მიმართავდა ამისათვის. ამის შედეგად მიღწეულ იქნა დაზავება კორეაში, რაც შვებით შეხვდა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის მთავრობები, ისევე როგორც წინათ, განაგრძობდნენ სხვადასხვაგვარი გართულების შექმნას, რაც ხელს უშლიდა მხარეთა შორის საკითხების მოწესრიგებას. ეს, კერძოდ, იმით გამოიხატა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და სამხრეთ კორეის მთავრობამ კორეაში დაზავებამდე და მის შემდეგ ძალით დააკავეს 48 ათასზე მეტი კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვე, რომლებსაც, ამრიგად, ნება არ დართეს სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას სამხედრო ტყვეთა საკითხი სრულიადაც არ მიაჩნია დამთავრებულად. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას მიაჩნია, რომ ამ საკითხს გვერდი არ უნდა აუაროს ახლანდელმა თათბირმაც.

ასეთია ფაქტები. მაგრამ, როგორც გაშორკვა, ჩვენი თათბირის ყველა მონაწილე როდი უწევს ანგარიშს ფაქტებს. ხოლო რაც შეეხება, მაგალითად, კორეის რესპუბლიკის დელეგატს, იგი მხოლოდ იმეორებს ფაქტებით დიდი ხანია გაბათილებულ და მხილებულ ვერსიას კორეის იმ ამბების შესახებ, რაც 1950 წელს დაიწყო. იგი ამახინჯებს ფაქტებს, ცდილობს ჩრდილი მიაყენოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ამასთანავე ჩინეთისა და კორეის ხალხების დიდ მეზობელს — საბჭოთა კავშირს, და ლამობს გაამაძიოოს კორეის ომის ნამდვილი დამნაშავენი. მაგრამ ასეთი ხერხები ვერ შეარყევენ იმ უდავო დებულებას, რომ ჩინელი ხალხის მოქმედება — ნებაყოფლობითი დახმარება კორეელი ხალხისადმი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროების დაცვაში სამართლიანი. ეს ხერხები აგრეთვე ვერ შეამცირებენ ჩინელი ხალხისა და მთავრობის იმ მუდმივ ღონისძიებათა მნიშვნელობას, რომელთა მიზანია კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა.

კორეაში დაზავების განხორციელების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები და კორეის რესპუბლიკა აშკარად არღვევენ კორეაში

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ლეო ქიაჩელის საიუბილეო საღამო

გუშინ, 29 აპრილს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში შეიკრიბნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საწარმოთა მოწინავე ადამიანები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული შუამავლები, სტუდენტები, მოსწავლეები, რათა აღენიშნათ გამოჩენილი ქართველი მწერლის, სტალინური პრემიის ლაურეატის ლეო ქიაჩელის დაბადების 70 წლისთავი. საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მ. კუტავამ.

მოხსენება თემაზე „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება“ გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. გ. ჯიბლაძემ. მან ვრცლად დაახასიათა იუბილარის შემოქმედებითი გზა, დამსახურება მშობლიური ხალხისა და ლიტერატურის წინაშე, აღნიშნა მკითხველთა მხურვალე ინტერესი ლ. ქიაჩელის ნაწარმოებებისადმი, მხცოვან მწერალს უსურვა ხანგრძლივი სიცოცხლე და შემდგომი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზელით — აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით — პოეტი გ. ლეონიძე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სახელით — უნივერსიტეტის პორტრეტი პროფესორი ს. ყიფლტი, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების სახელით — მწერალი შ. დადიანი, თბილისის ქალთა მე-4 რუსული საშუალო სკოლის პედაგოგი ნ. ტიმოფეევა, ახალგაზრდა საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით — მწერალი მ. ჭუსეინოვი. იუბილარისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ალ. აბაშელმა და ი. ნონეშვილმა. ლ. ქიაჩელის სახელზე მოსული მოსალოცი დეპეშები დამსწრეებს გააცნო მწერალმა მ. მრევლიშვილმა.

საიუბილეო საღამოზე წაკითხულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 4 მარტის ბრძანებულება მწერალ ლ. ნ. ქიაჩელის (შენგელაიას) ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულს ლენინის ორდენი გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. თ. ქვლივიძემ.

ტრიბუნაზეა ფიბლიარი ლ. ქიაჩელი, რომლის გამოსვლას მაყურებლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მწერალმა დიდი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ხალხს გულითადი მზრუნველობისათვის, აღუთქვა თან შემდგომი ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დასასრულ საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით გაიმართა დიდი კონცერტი.

წერილები ტყიბულიდან

I. გაუბედავი ნაბიჯები

ტყიბულის მიდამოებში მზემ თოვლი გაადნო და ჯერ ისევ კრიჭაშეკრული ნაქერალის ქედის კალთები ვეფხვის ზურგივით აპრეალა. ჯიუტობდა ზამთარი, როდი უნდოდა გაზაფხულისათვის პოზიციების დათმობა, ასლაც კი უდღეური ნამიანი ფანტელებით გვაუწყებს, ჯერ ისევ რიდი ბქოხდეთ ჩემი, მაგრამ დროს თავისი გააქვს, გაზაფხულის სიხალისე თითქოს მორცხვად და გაუბედავად, მაინც მთელი სიმტკიცით ეუფლება ბუნებას. ჰყვავის ტყემალი, ვაშლი, ატამი, სამშაურიანის ოდენა ფოთლები მწვანედ მოსავენ მცენარეებს, ღელეები მღვრიე ტალღებს ცელქად მიათამაშებენ ქვემოთ, რაიონისათვის შესაერთებლად... გაზაფხული მოვიდა.

ზაფხული ახლოვდება. დადგა წლიური გეგმის შესრულებისათვის შრომის საუკეთესო პერიოდი და მრავალი საზრუნავი საქმე უჩნდებათ ტყიბულელ მეშახტეებს. საქართველოს კომუნისტების XVI ყრილობამ მრავალ ნაკლზე მიუთითა მათ. ახალი ამბავი აღარ არის, რომ ჯერ კიდევ შარშან საგრძნობი გახდა შეუფარდებლობა ქვანახშირის მოპოვებასა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მის ფაქტიურ საჭიროებას შორის. ყრილობაზე ითქვა, რომ ტყიბულის ქვანახშირის მოსაპოვებლად „ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით სამუშაოთა წარმოების დროს თავი იჩინა ზოგიერთმა დამატებითმა სიძნელემ. ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მუშაკებმა (ამხ. ნაჭყებია და ქარქაშაძე) იმის ნაცვლად, რომ აღმოეფხვრათ ეს სიძნელეები, დაიწყეს მათი ყოველნაირად გაზვიადება, დაადგნენ ჰიდრავლიკური ვსების ფრონტის თანდათანობით შემცირებისა და სამუშაოთა ძველი, ჩამორჩენილი წესით — სახურავის ჩამონგრევის წესით მუშაობის განახლების გზას...“

ყრილობის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში ტყიბულში, როგორია ქვანახშირის ამოღების ამ მოწინავე მეთოდის — ჰიდრაულ

ჯოუ ენ-ლაის განცხადება

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე 1954 წლის 28 აპრილს

(დასასრული)

დაზავების შეთანხმების მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან მუხლებს, რაც ამის ახალი დადასტურებაა. დაზავების შესახებ შეთანხმების პარაგრაფი. 60 ნათლად ითვალისწინებს, რომ ერთ-ერთი საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს პოლიტიკურმა კონფერენციამ, რომელიც მოწვეული იქნება კორეაში დაზავების შემდეგ, არის უცხოთის მთელი ჯარების გაყვანა კორეიდან. მაგრამ კორეაში დაზავების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ კორეის რესპუბლიკის მთავრობასთან დადო ეგრეთწოდებული „შეთანხმება ერთობლივი თავდაცვის შესახებ“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლებას ანიჭებს იყოლინონ სამხრეთ კორეაში თავიანთი შეიარაღებული ძალები. უფრო მეტიც, კორეის რესპუბლიკის მთავრობა დღემდე გაიძახის, რომ საჭიროა „ლაშქრობა ჩრდილოეთში კორეის გასაერთიანებლად“ და აშკარად აცხადებს, რომ ამ თათბირის მოწვევიდან 90 დღის შემდეგ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად დატოვებს მას და კვლავ აისხამს იარაღს კორეის გასაერთიანებლად. ყოველივე ეს არა მარტო ამტკიცებს, თუ ვინ ატეხა წარსულში ომი, ვინ ახორციელებდა აგრესიას, არამედ იმასაც მოწმობს, თუ კვლავ ვინ უშლის ხელს კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას და ცდილობს კვლავ დაარღვიოს მშვიდობა კორეაში. მაგრამ კორეის ომმა ფრიად მნიშვნელოვანი გაკვეთილი მოგვცა: უცხოთის ყოველი ინტერვენცია ისეთ ქვეყანაში, რომლის ხალხმა გაიღვიძა, მუდამ განწირულია ჩასაფუშავად; ყოველი ცდა — გარედან იარაღის დახმარებით ჩააბშონ ხალხის ბრძოლა თავისი განთავისუფლებისათვის აგრეთვე განწირულია ჩასაფუშავად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია საკუთარი უბერს მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ნამ ირის წინადადებას იმის შესახებ, რომ აღდგეს კორეის ეროვნული ერთიანობა და მოიწყოს თავისუფალი არჩევნები მთელ კორეაში.

კორეელი ხალხი იაპონიის იმპერიალიზმის მონობიდან განთავისუფლების შემდეგ მუდამ მოითხოვდა კორეის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის განხორციელებას. კორეის გაერთიანება უნდა განხორციელდეს მთელ კორეაში საყოველთაო არჩევნების მოწყობის გზით ისე, რომ აღიკვეთოს ყოველგვარი ჩარევა გარედან და აღიკვეთოს სხვადასხვა ჯგუფის ზეგავლენა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება კორეელ ხალხს შესაძლებლობა მშვიდობიან ვითარებაში თავისუფლად გამოთქვას თავისი ნება.

კორეაში საყოველთაო არჩევნების მოწყობის საკითხის ასეთი ერთადერთი სწორი გადაწყვეტა იმ მიზნით, რომ შეიქმნას სრულიად კორეის მთავრობა და გაერთიანდეს კორეა ერთიან, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ, ზოგ ვინმეს არ მოსწონს. როგორც კორეის რესპუბლიკის წარმომადგენლის გუშინდელი სიტყვიდან ჩანს, ასეთი გადაწყვეტა არ მოსწონს ლისინმანელთა მთავრობას, რომელიც აშკარად უგულებელყოფს კორეელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ცდილობს დამტკიცოს, თითქოს კორეის საშინაო საქმეებში უცხოელთა ჩაურევლად კორეელი ხალხი ვერ გადაწყვეტს თავის საშინაო საქმეებს, კერძოდ, ვერ მოაწყობს სრულიად კორეის თავისუფალ დემოკრატიულ არჩევნებს.

ეს აზრი უფრო რელიეფურად გამოთქვა კორეის რესპუბლიკის წარმომადგენელმა, როდესაც იგი ლაპარაკობდა უცხოელთა ჯარების შესახებ კორეაში. მან აშკარად დაუპირა მხარი იმას, რომ კორეაში დარჩნენ ამერიკის ჯარები. მარტო ეს გარემოება ცხადყოფს, თუ რა ფასი აქვს ყველა იმ განცხადებას, თითქოს სამხრეთ კორეის რეჟიმი გამოხატავდეს კორეის ხალხის ინტერესებს. მაგრამ ჩინელ ხალხს აინტერესებს არა მარტო და არა იმდენად საქმის ეს მხარე, რამდენადაც ის გარემოება, რომ ამერიკის ჯარების ყოფნას კორეაში პირდაპირი დამოკიდებულება აქვს კორეაში მშვიდობის შენარჩუნებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროების საკითხთან.

კორეის გაერთიანება მშვიდობიანი გზით თვით კორეელი ხალხის საქმეა, ამიტომ მთელ კორეაში თავისუფალ არჩევნები რომ მოეწყოს და გარედან ჩარევა აღიკვეთოს, კორეიდან უწინარეს ყოვლისა უნდა გაიყვანონ უცხოთის მთელი ჯარები.

კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტაზე მოლაპარაკების პირველი დღიდანვე ჩვენ ოფიციალურად შევეტანეთ წინადადება კორეიდან უცხოთის მთელი ჯარების გაყვანის შესახებ. ახლა, რამდენადაც უკვე განხორციელდა დაზავება კორეაში, მით უმეტეს არავითარი საფუძველი არ არის იმისათვის, რომ კორეაში კვლავ დარჩნენ უცხოთის ჯარები, ვისაც უნდა იყოს ეს ჯარები. ცხადია, რომ ეს ჩვენი წინადადება სავსებით შეესაბამება ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ხალხთა ინტერესებს, აგრეთვე ყველა იმ ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, რომლებიც მონაწილეობდნენ კორეის ომში. კორეაში დაზავების შემდეგ ყველა ქვეყნის ხალხები, რომელთა შვილები კორეაში იმყოფებიან, მოითხოვენ, რომ ისინი რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ სამშობლოში და იცხოვრონ მშვიდობიანად.

მთელი კორეელი ხალხი ესწრაფვის თავისუფალ ცხოვრებას უცხოელთა ჩაურევლად. იგი სვამს ბუნებრივ კითხვას — რა საფუძვლით რჩებიან უცხოთის ჯარები კორეაში, როცა შეწყვეტილია საომარი მოქმედება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს კითხვა სავსებით მართებულია, ხოლო ხალხის მოთხოვნა უცხოთის მთელი ჯარების გაყვანის შესახებ სავსებით კანონიერია.

კორეის გაერთიანება მშვიდობიანი გზით დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის შორეულ აღმოსავლეთში. კორეა, შეიძლება წარმატებით გაერთიანდეს მშვიდობიანი გზით, თუ სათანადო სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით შორეულ აღმოსავლეთში, მოისურვებენ მიიღონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ კორეის დაუბრკოლებელი მშვიდობიანი განვითარება, ამასთან არ დაუშვან უცხოელთა ჩარევა კორეის საშინაო საქმეებში.

ვაჯამებთ რა ზემოაღნიშნულს, ჩვენ სავსებით სამართლიანად და გონივრულად მიგვაჩნია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის, საგარეო საქმეთა მინისტრ ნამ ირის წინადადება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თათბირის ყველა მონაწილე მთელი სერიოზულობით განიხილავს ამ წინადადებას, რომელიც საფუძველი იქნება იმისათვის, რომ მიეღწიოთ სათანადო შეთანხმებას კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

კორეაში ომის დაწყებიდან ჩინეთის ტერიტორია — კუნძული ტაივანი — დაიკავეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ეს საკითხიც აქამდე გადაუჭრელი დარჩა. ყველასათვის ცნობილია, რომ კუნძული ტაივანი ჩინეთის ტერიტორიის ნაწილია და ყოველად შეუწყნარებელია მისი ოკუპაცია ვისმე მიერ. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კუნძულ ტაივანის ოკუპაცია სერიოზულად არღვევს ჩინეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ახლა კუნძული ტაივანი გადაქცეულია იმის ბაზად, რომ მოეწყოს ძირგამოთხრელი საქმიანობა და შემდგომი აგრესია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ. გაძლიერებით აღორძინებენ იაპონიის მილიტარიზმს, რომელიც დიდხანს ახორციელებდა აგრესიას აზიის ქვეყნების მიმართ. ასეთი მდგომარეობა დღითიდღე სერიოზულად ემუქრება მშვიდობასა და უშიშროებას შორეულ აღმოსავლეთსა და აზიაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უკვე კორეის ომის პერიოდში ცდილობდა შეექმნა ეგრეთწოდებული „ერთობლივი უშიშროების“ სისტემა წყნარ ოკეანეში. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს შემდგომ ჩარევას ინდოჩინეთის ომში და ამ საბაბით განზრახული აქვს მოაწყოს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ეგრეთწოდებული თავდაცვითი გაერთიანებანი, რომლებიც სინამდვილეში მიზნად ისახავენ აგრესიას, და, გარდა ამისა, ახალი კოლონიური ბატონობის დამყარებას აზიაში და ახალი მსოფლიო ომის მომზადებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება უნდა შეწყდეს, მშვიდობა აზიაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას, აზიის ქვეყნების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს პატივი უნდა სცენ, აზიის ხალხთა ეროვნული უფლებები და თავისუფლება გარანტირებულ უნდა იქნას, აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა უნდა შეწყდეს, უცხოთის ყველა სამხედრო ბაზა აზიის ქვეყნებში ლიკვიდირებულ უნდა იქნას, ხოლო უცხოთის ჯარები უნდა გაიყვანონ; იაპონიის რემილიტარიზაცია უნდა აღიკვეთოს, ყოველგვარი ეკონომიური ბლოკადა და შეზღუდვა უნდა აღმოიფხვრას.

განცხადება, რომელიც ეს არის გააკეთა ბატონმა დალესმა, ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. მისი აზრები სრულიადაც არ შეესაბამება აზიის ხალხთა ინტერესებს. მის აზრებს ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებთ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ აზიის ქვეყნებმა კონსულტაცია უნდა გაუწიონ ერთმანეთს იმ მიზნით, რომ სათანადო ურთიერთვალდებულებათა გზით განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებანი აზიაში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის.

ჩინეთის ხალხები, ისევე როგორც აზიის ყველა ხალხი, არა მარტო აზიის მშვიდობისათვის ზრუნავენ, არამედ აგრეთვე მზრუნველობას იჩენენ ევროპისა და მსოფლიოს სხვა ნაწილების მშვიდობისათვის. ამჟამად გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და ურთიერთისადმი მტრულად განწყობილ სამხედრო ბლოკებად ევროპის დაყოფის პოლიტიკა არა მარტო ემუქრება ევროპის მშვიდობასა და უშიშროებას, არამედ აგრეთვე გავლენას ახდენს ევროპის ფარგლებს გარეთ, აძლიერებს დაძაბულობასა და შეშფოთებას აზიაში. სწორედ ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისათვის საჭიროა სათანადო მოლაპარაკებით, უწინარეს ყოვლისა დიდ სახელმწიფოებს შორის, მივაღწიოთ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შეწყვეტას და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას ევროპის ყველა სახელმწიფოს კოლექტიურ ღონისძიებათა საფუძველზე, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირი.

ჩვენ აგრეთვე მიგვაჩნია, რომ მშვიდობის ინტერესები მოითხოვს შეწყდეს გამლებული შეიარაღება, შემცირდეს შეიარაღება და შეიარაღებული ძალები, აიკრძალოს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღი.

ბ-ნო თავმჯდომარეე, ბატონებო! მთელი მსოფლიოს ხალხები, განსაკუთრებით აზიის ხალხები, დიდი ყურადღებით აღევნებენ თვალყურს ჩვენი თათბირის მსვლელობას. მათ იმედი აქვთ, რომ ეს თათბირი დადებითს შედეგებს მიაღწევს. სამწუხაროდ, აზიის ზოგიერთმა სახელმწიფომ, რომლებიც ზრუნავენ აზიის მშვიდობისათვის, ისეთმაც, როგორიც არიან ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა და სხვ., ვერ შეძლეს მონაწილეობა მიეღოთ ჩვენს თათბირში, რაც არ შეიძლება ამ თათბირის პლუსად ჩაითვალოს.

ნება მიბოძეთ იმედი გამოვთქვა, რომ წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ თათბირში, იხელმძღვანელებენ რა აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებით, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გამონახონ გზები თათბირის დღის წესრიგში დასმული აქტუალური პრობლემების გადაჭრისათვის.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 28 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ა. იდენის თავმჯდომარეობით გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მესამე სხდომა. გრძელდებოდა კორეის საკითხის განხილვა.

მთელი რიგი პოლიტიკური მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ ამ განხილვას კონკრეტული ბაზა მიეცა იმასთან დაკავშირებით, რომ გუშინ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ შეიტანა ღონისძიებათა პროგრამა, რომლის მიზანია კორეის ეროვნული ერთიანობის უსწრაფესი აღდგენა და კორეის ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

დღეს პირველი გამოვიდა ჯ. დალესი, რომელმაც სიტყვით აღიარა, რომ კორეას აქვს არსებობის უფლება, როგორც ერთიან და დამოუკიდებელ სახელმწიფოს, და განაცხადა, რომ თათბირის მიზანია გაერთიანებული კორეის შექმნა. მაგრამ, შეეხო რა საკითხს, თუ რატომ არის დღემდე კორეა ორ ნაწილად გაყოფილი, დალესმა სცადა პასუხისმგებლობა ასეთი მდგომარეობისათვის შეერთებული შტატებიდან გადაეტანა საბჭოთა კავშირზე. მან გაიმეორა ნამდვილი ფაქტების სავსებით საწინააღმდეგო და დიდიხნის წინათ მხლებული ძველი ამერიკული ვერსია კორეაში მოვლენების განვითარებისა მას შემდეგ, რაც იგი განთავისუფლდა იაპონიის ბატონობისაგან. დალესმა სრული დუმილით აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ სამხრეთ კორეის ხელისუფლები, მოქმედებენ რა ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით, უპასუხოდ ტოვებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ არაერთგზის შეტანილ წინადადებას კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისა და იმ გათიშვის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც შეიქმნა იმის შედეგად, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უხეშად დაარღვიეს შეთანხმება კორეის შესახებ, რაც დაიდო სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის დათბირზე 1945 წლის დეკემბერში, და ამ თათბირის შემდეგ ერთბაშად აიღეს კორეის გათიშვისა და ამ ქვეყნის დემოკრატიული ძალების დთრგუნვის კურსი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კვლავ ცდილობდა ამერიკის სახელმწიფო ინტერვენცია კორეაში დაესახა როგორც აგრესია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ, ხოლო ჩინელ სახალხო მოხალისეთა დახმარება კორეელი ხალხისადმი მის ბრძოლაში უცხოთის ინტერვენციის წინააღმდეგ ცდილობდა წარმოედგინა როგორც აგრესია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ.

დალესმა დახატა დროებითი ზავის დადების შემდეგ მოვლენათა განვითარების ასეთივე დამახინჯებული სურათი ერთადერთი მიზნით — დაუმალოს საზოგადოებრივ აზრს ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დღემდე მიღწეული არ არის კორეის საკითხის საბოლოო მშვიდობიანი მოწესრიგება.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი დალესმა მოანდომა ჩვეულებრივი, მისთვის ტრაფარეტად გამხდარი გამოხდომების გამეორებას მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის წინააღმდეგ, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, გამოხდომებისა, რომელსაც განსაკუთრებული ერთგულებით ავრცელებს ამერიკის პროპაგანდა, რათა გააღვივოს მტრობა და სიძულვილი ხალხთა შორის და ომის ისტერია.

დალესი მხოლოდ თავისი სიტყვის საბოლოო ნაწილში გადავიდა, ბოლოს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებებზე, რომლებიც კორეის საკითხის გადაჭრის კონკრეტულ პროგრამას წარმოადგენს. დალესი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა გამოეძებნა უსაფუძვლო, ყალბი არგუმენტები, რათა გაემართლებინა თავისი უარი ამ პროგრამის განხორციელებაზე. მან გამოთქვა აშკარა უნდობლობა კორეელი ხალხის დემოკრატიული ძალებისადმი და ამტკიცებდა, რომ არჩევნები კორეაში თითქოს შეიძლება მოეწყოს მხოლოდ უცხო სახელმწიფოთა კონტროლით. მან გაილაშქრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ კორეის ტერიტორიიდან ექვსი თვის ვადაში გაყვანილ იქნან უცხოთის მთელი შეიარაღებული ძალები, რაც გამოიცხადა კორეელ ხალხზე რაიმე ზეგავლენის და მის საქმეებში ჩარევის შესაძლებლობას არჩევნების დროს და დიდი ნაბიჯი იქნებოდა დემოკრატიულ საწყისებზე კორეის მშვიდობიანი გაერთიანების მიმართულებით.

დალესმა დამსწრეთ აგრძნობინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებენ თავიანთი ჯარების გაყვანას სამხრეთ კორეიდან, რითაც ერთხელ კიდევ აღიარა, რომ სამხრეთ კორეის რეჟიმი ეყრდნობა უცხოთის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერას.

უარყო რა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი, დალესი მაინც განაგრძობდა მტკიცებას, რომ შეერთებულ შტატებს სწადიათ კორეის გაერთიანება. მაგრამ მას არ შეუტანია არც ერთი წინადადება ამ მიზნის განსახორციელებლად, რითაც ცხადყო, რომ მისი განცხადება, ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ ხელი შეუწყონ კორეის შვიდობიან გაერთიანებასო, ლიტონი დეკლარაციაა. ამრიგად დალესმა ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარყოფენ კორეის ნამდვილ გაერთიანებას და რომ მათი სურვილია მთელ კორეაში გავრცელდეს ლისინმანელთა მარიონეტული რეჟიმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული კომისიის დახმარებითა და ხელშეწყობით, კომისიისა, რომელსაც იგი ეცავდა.

შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურს, საგარეო საქმეთა მინისტრს ჯოუ ენ-ლაის (ჯოუ ენ-ლაის განცხადება იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში — **რედ.**).

ჯოუ ენ-ლაის გამოსვლის შემდეგ სხდომა დაიხურა.

თათბირის მორიგი სხდომა გაიმართება 29 აპრილს.

ედუარდ ერიომ ლიონის საერთაშორისო ბაზრობაზე ინახულა საბჭოთა პავილიონი

პარიზი, 28 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, გუშინ ლიონის საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონი ინახულა საფრანგეთის ეროვნული კრების სპიკერი თავმჯდომარემ, ქალაქ ლიონის მერმა ედუარდ ერიომ. საბჭოთა ექსპონატების დათვალიერების შემდეგ ერიომ შთაბეჭდილებათა წიგნში გააკეთა შემდეგი ჩანაწერი:

„ეს საინტერესო ვიზიტი მომაგონებს ყველაფერს, რაც მაახლოებს მე რუსეთთან, და, კერძოდ, ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობას, რომელიც მე ვინახულე ჯერ კიდევ 1922 წელს.

მე ბევრი ვიმუშავე რუსებთან ერთად. მათ შორის შესანიშნავი მეგობრები მყავდნენ. მხურვალედ ვისურვებ, რომ მათმა მონაწილეობამ ჩვენს ბაზრობაში გამოიწვიოს ახალი და ნაყოფიერი წარმატებანი ჩვენს ორ ხალხს შორის ურთიერთობის განვითარებაში“.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

1954 წლის 28 აპრილს, მოლაპარაკების შედეგად, რომელიც წარმატებით დამთავრდა, ჰაგაში ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდოეთის სამეფოს შორის 1954 წლის ურთიერთ მიწოდების შესახებ. ოქმს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის 1948 წლის 2 ივლისის შეთანხმების ბაზაზე, რომელიც აწესებს ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის რეჟიმს.

ოქმით გათვალისწინებულია, რომ სსრ კავშირი ინდოეთს მიაწვდის მარცვლეულს, ხეტყის მასალას, ცელულოზას, ანტრაციტს, ქვანახშირის პეკს, აპატიტკონცენტრატს, აზბესტს, მსუბუქ ავტომობილებს, ბეწვეულს, კონსერვებსა და მთელ რიგ სხვა საქონელს.

ინდოეთი საბჭოთა კავშირისათვის ააგებს სატვირთო გემებს, რეფრიჟერატორულ გემებს, მიწისმწოვებს, მიწახაპიებს, მცურავ ამწეებს. ამ გემებსა და მცურავ საშუალებებს იგი მიაწვდის 1954-1956 წლებში. ინდოეთი სსრ კავშირს მიაწვდის შტაპელის ბოჭკოს, კარაქს, ხორცს, ქაშაყს, ტყავსა და ტყავეფდეულს, მედიკამენტებსა და ზოგიერთ სხვა საქონელს.

ოქმი ითვალისწინებს საქონლის მიწოდების გადიდებას წინანდელ წლებთან შედარებით, აგრეთვე სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის საქონლბრუნვის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობას.

ოქმს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო წარმომადგენელმა ინდოეთში ე. პ. გურეგმა და ინდოეთის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრებმა ი. ვ. ბეიენმა და ი. ლუნსმა.

საბჭოთა კავშირი შეეიდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში

ამ დღეებში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა შეეიცარიაში სსრ კავშირის მისიის მეშვეობით შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს დ. მორსს გაუგზავნა წერილი, რომლითაც აცნობა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა იმისაროს ვალდებულებანი, რომლებიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებიდან გამომდინარეობენ.

26 აპრილს დ. მორსმა დაადასტურა ვ. მ. მოლოტოვის წერილის მიღება. ამრიგად, სსრ კავშირი ამ ორგანიზაციის წევრი ხდება.

ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა ბ-ნ ჟ. ბიდოსთან

ჟენევა, 28 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს, 28 აპრილს, 11 საათზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის შენობაში გაიმართა ვ. მ. მოლოტოვის მეორე საუბარი ბ-ნ ჟ. ბიდოსთან. მოხდა აზრთა გაზიარება ჟენევის თათბირზე ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვის მონაწილეთა შემადგენლობის შესახებ.

წინადღით გამართულ საუბარში ბ-ნმა ბიდომ ინდოჩინეთის საკითხზე თათბირის მონაწილეთა შორის, ხუთი დიდი სახელმწიფოს გარდა, ჩამოთვალა ინდოჩინეთის სამი სახელმწიფო — ბაო დაის ვიეტნამი, ლაოსი და კამბოჯა. მოლოტოვს ამის წინააღმდეგ არაფერი უთქვამს, მაგრამ აღნიშნა, რომ თათბირის მონაწილეთა შორის, როგორც თავისთავად იგულისხმება, უნდა იყონ მეორე მხარის — დემოკრატიული ვიეტნამის წარმომადგენლებიც. მაგრამ ამასთან დაკავშირებით ბიდომ არ გამოთქვა თავისი გარკვეული აზრი. შეთანხმდნენ, რომ აზრთა გაზიარება განგრძობილ იქნებოდა.

დღევანდელი საუბრის დროს ბიდომ აზრი გამოთქვა, რომ, სანამ მიღწეულ იქნებოდეს შეთანხმება ინდოჩინეთის საკითხის განხილვის მონაწილეთა შესახებ, საჭირო იქნებოდა გადაწყვეტილიყო საკითხი დიენ-ბიენ-ფუს რაიონიდან დაჭრილთა ევაკუაციის შესახებ.

მოლოტოვმა უპასუხა, რომ საბჭოთა დელეგაცია თანაუგრძნობს იმას, რომ დაჭრილთა საკითხი დაუყოვნებლივ გადაიჭრას და რომ აღნიშნული საკითხის უსწრაფესად გადაჭრის მიზნით დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები დაუყოვნებლივ შეხვდნენ ერთმანეთს, თუ საჭიროა, ჟენევაში.

ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ბერლინის კომუნიკეში გათვალისწინებული არ არის რაიმე წინასწარი პირობები თათბირის მონაწილეთა განსაზღვრისათვის. ამ კომუნიკეში მხოლოდ აღნიშნულია, რომ, ხუთი დიდი სახელმწიფოს გარდა, თათბირში ინდოჩინეთის საკითხზე მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვა დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა, რომელთა შორის არის, რა თქმა უნდა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ბ-ნმა ბიდომ განაცხადა, რომ მას კონსულტაცია ექნება ამ საკითხზე.

ჩეხოსლოვაკია-ჩინეთის სავაჭრო შეთანხმება

პრაღა, 28 აპრილი. (საკდესი). 27 აპრილს პრაღაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1954 წლისათვის საქონელგაცვლისა და გადასახდელთა შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს ამ ორ ქვეყანას შორის საქონელგაცვლის შემდგომ განვითარებას.

ჩეხოსლოვაკია ჩინეთის მიაწვდის ელექტროსადგურებისა და შაჭის ქარხნების მოწყობილობას, ლითონდასამუშავებელ ჩარხებს, ამწეებს, ექსკავატორებს, დიზელიან აგრეგატებს, სატვირთო ავტომანქანებს, ელექტრომოწყობილობას, ქიმიური და ქაღალდის მრეწველობის პროდუქციას.

ჩინეთი ჩეხოსლოვაკიას მიაწვდის მადანსა და ფერად ლითონებს, ნედლეულს საფეიქრო, ტყავისა და ქიმიური მრეწველობისათვის. ამას გარდა, ჩეხოსლოვაკია ჩინეთიდან მიიღებს ნედლეულს კვების მრეწველობისათვის, აგრეთვე მცენარეულ ზეთს, ზეთოვანი კულტურების თესლს, ბრინჯს, ჩაის, სანელებლებს, დაკონსერვებულ ხორცს, ხილსა და სხვ.

აზიის ხუთი ქვეყნის პრემიერ-მინისტრების თათბირი

დელი, 28 აპრილი. (საკდესი). დღეს კოლომბოში გაიხსნა ინდოეთის, პაკისტანის, ბირმის, ინდონეზიისა და ცეილონის პრემიერ-მინისტრთა თათბირი. თათბირი მოწვეულ იქნა ცეილონის პრემიერ-მინისტრის კოტალავალას ინიციატივით და, როგორც ვარაუდობენ, გაგრძელდება სამ დღეს. თათბირის მონაწილეებს არა აქვთ წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგი და უნდა შემუშაონ იგი პირველ სხდომაზე. მაგრამ როგორც გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსის“ ცნობიდან ჩანს, თათბირზე განიხილება შემდეგი საკითხები: თავდაუსხმელობის დეკლარაცია; წინადადება აზიის „მნიროს დოქტრინის“ შესახებ (სხვა სახელმწიფოების ჩაურევლობა აზიის ქვეყნების საქმეებში. — **რედ.**); კოლონიალიზმის დაგმობა; ატომური იარაღის აკრძალვის მოთხოვნა; მოწოდება — დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი ინდოჩინეთში; ბირმის მოთხოვნა მისი ტერიტორიიდან გომინდანელთა ბანდების გაყვანის შესახებ; მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საფრანგეთმა, პორტუგალიამ და ჰოლანდიამ გაათავისუფლონ ის ტერიტორიები, რომლებსაც ისინი კონტროლს უწევენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონებში; იმ ხუთი ქვეყნის საერთო პოზიციის გამომუშავება მთელი რიგი პრობლემების შესახებ, რომელთა პრემიერ-მინისტრებიც ერთმანეთს შეხვდნენ კოლომბოში.

თათბირი მისასალმებელი სიტყვით გახსნა ცეილონის პრემიერ-მინისტრმა კოტალავალამ, რომელმაც, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა შემუშავდეს საერთო პოზიცია ინდოჩინეთის ომის მიმართ.

გაფიცვა იაპონიის აბრეშუმსართავ საწარმოებში

შანხაი, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, დღეს დილიდან ქალაქ ომაში კომპანია „კატაკურას“ აბრეშუმსართავი ფაბრიკების მუშებმა, აგრეთვე ქალაქ კუმაგაიაში (საიტამას პრეფექტურა) ისიხარას საწარმოს მუშებმა 16 საათის გაფიცვა დაიწყეს. გაფიცულნი ხელფასის მომატებას მოითხოვენ.

ბრძანება

თბილისის გარნიზონის ჯარების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

№ 111

1954 წლის 30 აპრილი. ქალაქი თბილისი.

თბილისის გარნიზონის ჯარების პარადის შესახებ 1954 წლის 1 მაისს

§ 1.

1954 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს არმიის გენერალი **ანტონოვი.**

§ 3.

პარადის სარდლობა მებრძანა მე.

§ 4.

პარადის დასაწყისი 9.00 საათზე მოსკოვის დროით.

§ 5.

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

§ 6.

ტანსაცმლის ფორმა **საპარადოა.**

§ 7.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 8 საათსა და 30 წუთზე.

§ 8.

პარადის დროს წესრიგის დაცვის ხელმძღვანელობას ვაკისრებ თბილისის გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ **ჭუდიძეს** და ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს პოლკოვნიკ **შალამბერიძეს.**

თბილისის გარნიზონის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გენერალ-მაიორი გლადკოვი.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

გუშინ ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა გროსმაისტერების მ. ბოტვინიკისა და ვ. სმისლოვის მატჩის მე-19 პარტია. თეთრებით თამაშობდა ვ. სმისლოვი. ეს პარტია არ დამთავრებულა, გადაიდო დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში. დღეს გათამაშდება გადადებული პარტია. მორიგი მე-20 პარტია შედგება 4 მაისს.

კონცერტები მოსახლეობისათვის

დღესასწაულის დღეებში, 1 და 2 მაისს, საკონცერტო ბრიგადები, რომლებშიც შედიან თბილისის თეატრების, სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები, აგრეთვე საქართველოს სიმღერისა და